კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თამარ მოსიაშვილი

ინოვაციური ბიზნესის მართვის სახელმწიფო რეგულირების უცხოური გამოცდილება

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თეა ლაზარაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, კსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2018

ანოტაცია

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა შეუძლებელია ინოვაციური განვითარების გარეშე. ქვეყნის ინოვაციური განვითრების უმეტესი წილი მცირე ბიზნესზე მოდის.

ნაშრომის პირველ თავში - მცირე ბიზნესის განვითარების თეორიული საფუძვლები - განხილულია მცირე ბიზნესის არსი, მნიშვნელობა, აგრეთვე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დინამიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში.

მეორე თავში - მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების ფორმები და მექანიზმები - გაშუქებულია მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების ფორმები და მექანიზმები. გაანალიზებულია სახელმწიფო მხადაჭერის როლი და მნიშვნელობა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში. გაშუქებულია მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის ფორმები და მექანიზმები.

მესამე თავში - მცირე და საშუალო ბიზნესის განვითრებისა და სახელმწიფო მხარდაჭერის მდგომარეობა საქართველოში - შეფასებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და სახელმწიფო მხარდაჭერის მდგომარეობა საქართველოში. აგრეთვე დასახულია ინოვაციური მეწარმეობის განვითარების გზები და პერსპექტივები.

TamarMosiashvili

Foreign experience of state regulation of innovative business management

Annotation

The economic growth of the country is impossible without an innovative development. Most of the country's innovative development comes from small businesses.

The first chapter of the work - Theoretical Basis for Small Business Development - is discussed with the essence of small-scale business, the importance of small-scale and medium sized business dynamics in foreign countries.

Second Chapter - Forms and Mechanisms for State Regulation of Small and Medium Business -The forms and mechanisms of state regulation of small-scale and medium sized business are highlighted. The role and importance of state support are analyzed in the development of SMEs. Small and medium business finance forms and mechanisms are covered.

Third Chapter - State of Small and Medium Business Development and State Support -The situation in small-scale and medium sized business development and state support is estimated in Georgia. The path of development of innovative entrepreneurship and prospects are chosen.

შინაარსი

შესავალი		
თავი 1.	მცირე ბიზნესის განვითარების თეორიული საფუძვლები	7
	1.1.მცირე ბიზნესის არსი, მნიშვნელობა	7
	1.2.მცირე და საშუალო ბიზნესი (მეწარმეობა), როგორც ეკონომიკური კატეგორია	10
	1.3.მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საზღვარგარეტის ქვეყნებში	19
თავი 2.	მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების ფორმები და მექანიზმები	30
	2.1. სახელმწიფო მხარდაჭერის როლი და მნიშვნელობა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში	30
	2.2. მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის ფორმები და მექანიზმები	38
თავი 3.	მცირე და საშუალო ბიზნესის განვითრებისა და სახელმწიფო მხარდაჭერის მდგომარეობა საქართველოში	43
	3.1. მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა საქართველოში	43
	3.2. ინოვაციური მეწარმეობის განვითარების გზები და პერსპექტივები	48
	3.3. მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ინფრასტრუქტურის განვითარება	56

დასკვნა 62
გამოყენებული ლიტერატურა 68

შესავალი

თემის აქტუალობა. XXI საუკუნის დასაწყისში დაიწყო ეკონომიკური განვითარების ძირითადი ფაქტორის ცვლილება, რამაც საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის ეკონომიკის ფორმირებას, სადაც ცოდნის ფაქტორი გადამწყვეტ როლს თამაშობს, ხოლო ცოდნის წარმოება ეკონომიკური ზრდის წყაროს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ეკონომიკური ზრდის დომინანტი მეცნიერული ცოდნის, ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციური პროცესების, საქონლისა და მომსახურების სისტემების და ბიზნესის ორგანიზაციის ახალი ფორმები ხდება. ინოვაციები, ეკონომიკური ზრდის სტრატეგიულ ფორმად გადაიქცევიან, ზემოქმედებენ საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურაზე, ცვლიან საზოგადოების ეკონომიკური ორგანიზაციის სახეს და საბოლოოდ ქვეყანაში სოციალური სიტუაციის სტაბილიზებას უწყობენ ხელს. ეროვნული ინოვაციური სისტემების ფორმირების პროცესი შედარებით ინტენსიურად განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობს. ეროვნული ინოვაციური სისტემების სხვადასხვა ტიპისა და მოდელის ფორმირება დამოკიდებულია ქვეყნის ეროვნულ თავისებურებებსა და ეკონომიკურ პოტენციალზე. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაში ერთ -ერთი მნიშვნელოვანი ადგილი მცირე და

საშუალო ბიზნესს უკავია. ამიტომ მნიშვნელოვანია ქვეყნისხელისუფლებამ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციურ განვითარებას. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომის აქტუალობა ეჭვს არ იწვევს.

მიზნები და მაოცანები: სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ინოვაციური ბიზნესის მართვის სახელმწიფო რეგულირების უცხოური გამოცდილების შესწავლა და გაანალიზება.

მიზნიდან გამომდინარე დასახულია შემდეგი ამოცანები:

შესწავლილი იქნას:

- მცირე ბიზნესის არსი და მნიშვნელობა;
- სახელმწიფო მხარდაჭერის როლი და მნიშვნელობა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში;
- მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის ფორმები და მექანიზმები;

გაანალიზდეს:

- მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ფორმები საქართველოში;
- ინოვაციური განვითარების გზები და პერსპექტივები.

საკვლევი საგანი და ობიექტი. საკვლევ საგანს წარმოადგენს ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოები საზღვარგარეთ და საქართველოში. მათი შესწავლა და ანალიზი.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები. სამაგისტრო ნაშრომში განხილული საკითხების კვლევის დროს ძირითად ამოსავალ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებად გამოყენებულია კლასიკოსთა, გამოჩენილ უცხოელ და ქართველ მეცნიერთა ნაშრომები.

კვლევის დროს ვითვალისწინებდით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ ყველა ძირითად საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებს.

აღნოშნულ კვლევასთან დაკავშირებით კვლევები ცატარებული აქვთ როგორც სამამულო, ისე უცხოელ მცნიერებას და მკვლევარებს. მათგან

აღსანიშნავია: გ. ადეიშვილი, რ. ასათიანი, რ. ჯავახიშვილი, ე. კაკულია, ო. გოგიაშვილი,ე. გობეჯიშვილი და სხვ.

თუმცა საკითხი ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე მუდმივად ცვლილებას განიცდის და ახალ ფორმებს იძენს, რისც გამოც ამ საკითხის ბოლომდე სრულყოფილად შესწავლა შეუძლებალია.

ნაშრომის შესრულებისას გამოყენებულია უცხოელი და ქართველი მეცნიერებისა და მკვლევარების ნაშრომები, საკანონმდებლო აქტები და ოფიციალური ვებგვერდები.

თავი 1. მცირე ბიზნესის განვითარების თეორიული საფუძვლები

1.1. მცირე ბიზნესის არსი, მნიშვნელობა და კრიტერიუმები

ბიზნესი ინგლისური სიტყვაა. ამ ტერმინმა დღეისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოიცვა და უამრავ მონათესავე ტერმინთა მნიშვნელობა შეითავსა: პროფესია, საქმე, მეწარმეობა, გარიგება, საქმიანი წრეები, საქმიანი ცხოვრება, უბრალოდ, წყარო შემოსავლისა და ა.შ. [Речмен Д., Мескон М., Боуви К., Тилл Д. 1995]. ბიზნესი ეს არის საქმიანი ორგანიზაცია, რომლიც აწარმოებს პროდუქტს საქონლის ან მომსახურეობის სახით და მისი მთავარი მიზანი მაქსიმალური მოგების მიღებაა. ბიზნესის გარემოს ახასიათებს მუდმივი ცვლილებები ტექნოლოგიაში [www.medozhvania.wordpress.com].

ეკონომიკურ ლიტერატურაში ბიზნესის შემდეგი ფორმებიგანიხილება: მიკრო, მცირე, საშუალო, მსხვილი, გლობალური (საერთაშორისო). ბიზნესის ამ ფორმებს

შეესაბამება მცირე, საშუალო, მსხვილი საწარმოები და ტრანსეროვნული კორპორაციები.

მცირე ბიზნეს თავისი მოცულობით ეკონომიკის ერთ-ერთ მსხვილ აგრეგატს წარმოადგენს. იგი როგორც ბიზნესსისტემის, ასევე მთელი ეკონომიკური სისტემის ფორმირების, განვითარებისა და სტაბილურობის ერთ-ერთიპირველწყაროა. მცირე ბიზნესი, როგორც ტერმინი, წარმოდგება არა იქიდან, რომ მცირე ბიზნესი, ერთობლიობაში, პროდუქციის მცირე რაოდენობას ქმნის, არამედ იქიდან, რომ მის ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს მცირე საწარმო [გოგიჩაიშვილი ფ. 1976].

მცირე ბიზნესის ორგანიზაციულ ობიექტს მცირე საწარმო წარმოადგენს. მცირე საწარმო, წარმოების ეს უძველესი ფორმა, პირველად 1931 წელს გამოიყენა ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა მ. მილანმა დიდი ბრიტანეთის სამრეწველო და საფინანსო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოსვლისას.

აშშ-ში ორი ტიპის მცირე საწარმოს განასხვავებენ: მცირე საწარმოებს, რომელთაც გაფართოების შესაძლებლობა არ აქვთ და მცირე საწარმოებს, რომლებიც საწყის ეტაპზე იქმნება მცირე კაპიტალის დაბანდებით, შემდგომ მისი გაფართოების მიზნით („სწრაფად განვითარებადი" საწარმოები). უცხო ქვეყნების ეკონომიკაში ვხვდებით სამი ფორმის მცირე საწარმოებს:

1. სტატუსკვო („სიცოცხლისუზრუნველმყოფ") მცირე საწარმოებს, საწარმოები რომლებიც არ ცდილობენ გაფართოებას;

2. ნელა განვითარებადი საწარმოები, ცდილობენ გაფართოებას გადავიდნენ ბიზნესის სხვა ფორმაში, მაგრამ არა სწრაფი ტემპით;

3. სწრაფ განვითარებადი მცირე საწარმოები, საწარმოები რომლებიც ნერგავენ ინოვაციებს ისინი სწრაფი ტემპით გადადიან ბიზნესის სხვა ფორმაში (საშუალო, მსხვილ, გლობალურ ბიზნესის ფორმაში). მცირე ბისნესის ბოლო ორი ფორმა (ნელა და სწრაფ განვითარებადი) პოტენციური საშუალო ბიზნესია.

მოკლედ შევეხეოთ საზღვარგარეთის ქვეყნებში მცირე ბიზნესის სტატუსის ცნებას.

2003 წლის 6 მაისს ევროკომისიამ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის გაზომვის ახალი კრიტერიუმები მიიღო, რომლებიც ძალაში 2005 წლის 1 იანვრიდან შევიდა. ამ კრიტერიუმების თანახმად, შემდეგნაირი კლასიფიკაცია ჩამოყალიბდა:

საშუალო საწარმო _ დასაქმებულთა ზღვარი 50 – 249 ადამიანი; ბრუნვა – 50 მლნ. ევრომდე წელიწადში; ბალანსი _ 43 მლნ. ევრომდე.

მცირე საწარმო - დასაქმებულთა ზღვარი 10 – 49 ადამიანი; ბრუნვა - 10 მლნ. ევრომდე წელიწადში; ბალანსი 10 მლნ. ევრომდე.

მიკრო საწარმო _ დასაქმებულთა რაოდენობა 10 კაცზე ნაკლები; ბრუნვა – 2 მლნ. ევრომდე წელიწადში; ბალანსი 2 მლნ. ევრომდე.

ამჟამად აშშ-ში მცირე საწარმოები ძირითადად ორი კრიტერიუმით ფასდება: დასაქმებულთა რაოდენობით და წლიური ბრუნვის მოცულობით. დასაქმებულთა რაოდენობა იცვლება 1-დან 500 კაცამდე, ხოლო წლიური ბრუნვა 3-დან 12 მილიონ დოლარამდე.

იაპონიის მრეწველობაში მცირე ბიზნესს მიეკუთვნება კომპანიები დასაქმებულთა რიცხოვნობით 300 კაცამდე და საწესდებო კაპიტალით 100 მლნ იენამდე. საბითუმო ვაჭრობაში, შესაბამისად, 100 კაცამდე და 30 მლნ იენამდე და საცალო ვაჭრობაში 50 კაცამდე და 10 მლნ იენამდე.

ფედერალური კლასიფიკატორის მიხედვით **გერმანიაში** მცირე საწარმოდ ითვლება ფირმა, სადაც მუშაობს არა უმეტეს 49 ადამიანისა და ყოველწლიური ბრუნვა 1 მილიონზე ნაკლებია. მცირე საწარმო არის ფირმაა, რომელსაც მართავს იურიდიულად დამოუკიდებელი მეპატრონე და რომელიც უშუალოდ მონაწილეობს წარმოების პროცესში, მთლიანად იღებს თავის თავზე ეკონომიკურ რისკებს და როგორ წესი, თვითონ აფინანსებს თავის საქმიანობას.

საფრანგეთში მცირე საწარმოებს მიაკუთვნებენ საწარმოებს, დასაქმებით 10-დან 50 კაცამდე [Мазоль С.,2004, გვ. 12].

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ძირითადად არ არსებობს მცირე და საშუალო საწარმოს ზომის განსაზღვრის ერთიანი მეთოდიკა, მისი შეფასების

ერთნაირი კრიტერიუმი. შესაძლებელია საყოველთაო კრიტერიუმად ვაღიაროთ საწარმოში (ფირმაში) დასაქმებულთა რაოდენობა, თუმცა მათი სტატისტიკური სიდიდე სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია, რაც გამოწვეულია ეკონომიკის განსხვავებული მასშტაბებითა და განვითარების დონით.

შეიძლება ითქვას, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის კრიტერიუმთა სტატისტიკური სიდიდის, სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების მიხედვით, განსხვავებას რაიმე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია მათ განვითარებაზე და მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამოვლენაზე ამ ქვეყნებში. როგორც ჩანს მცირე და საშუალო ბიზნესის კრიტერიუმების შერჩევისას გათვალისწინებულია ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბები და განვითარებისდონე.

საქართველოში 1999 წლამდე არ იყო კანონით რეგლამენტირებული მცირე საწარმოს ცნება, მისი შეფასების კრიტერიუმები და მათი სტატისტიკური სიდიდეები. 1999 წლის 23 ივლისს საქართველოში ძალაში შევიდა კანონი ,,მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, რომლის მიხედვით, მცირე საწარმოების შეფასების კრიტერიუმად, დასაქმებულთა რიცხოვნობასთან ერთად, საწარმოს წლიური ბრუნვის მაჩვენებელი იქნა აღიარებულ. 2011 წელს მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსით ბიზნესის ფორმების: მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის განმსაზღვრელ კრიტერიუმად ერთობლივი შემოსავალია აღიარებული. ამ კოდექსით მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭება მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს.

მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი და გადასახადის განაკვეთებია:

ა) მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 5%-ით.

ბ) მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3%-ით თუ:

გ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს აქვს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლის 60%-ის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები.

დ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი საქმიანობს სპეციალურ სავაჭრო ზონაში [საქართველოს საგადასახადო კოდექსი].

1.2. მცირე და საშუალო ბიზნესი (მეწარმეობა), როგორც ეკონომიკური კატეგორია

სიტყვა „ბიზნესი“ (ინგლ. Business - საქმე, მეწარმეობა) ფაქტობრივად „მეწარმეობის“ იდენტურია. ეს არის ინიციატივიანი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც საკუთარი ან ნასესხები სახსრებით, რისკისა და პასუხისმგებლობის გაწევით ხორციელდება მთავარი მიზნის - მოგების მისაღებად. ის შეიძლება აღნიშნავდეს რაიმე საქმიანობას, სავაჭრო ოპერაციას, კომერციულ ან სამრეწველო საწარმოს, ცალკეული მეწარმის ან მთელი ფირმის პრაქტიკასა თუ პოლიტიკას.

1. საზოგადოდ, ბიზნესს მცირე მასშტაბებით უწოდებენ მცირე ბიზნესს. მეწარმეობა არის მოქალაქეების, ფიზიკური და იურიდიული პირების, დამოუკიდებელი, ინიციატივიანი საქმიანობა (საქონლის წარმოება, მომსახურების გაწევა, სამუშაოთა შესრულება), რომელიც მიმართულია მოგების (შემოსავლის) სისტემატური მიღებისაკენ [80, გვ. 255]. ზოგიერთი განმარტებით, მეწარმეობა (Enterprise) არის ეკონომიკური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კერძო მეწარმეთა განსაზღვრულ დამოუკიდებლობის ხარისხს [Dictionary of Economic and Management. „Tacis“, 1996]. „მეწარმესთან“ მიმართებაში ხშირად გამოიყენება ასევე ტერმინი „ანტრეპრენერი“ - entrepreneur (ფრანგ.), რაც „შუამავალს“ ნიშნავს. ნიშანდობლივია, რომ თითქმის ყველა ეკონომიკურ ლექსიკონში „ბიზნესისა“ და „მეწარმეობის“ კატეგორია ერთნაირადაა განმარტებული [გოგიაშვილი ო, 2013].

ნებისმიერი საზოგადოება წარმოუდგენელია მატერიალური წარმოების გარეშე. სწორედ წარმოების პროცესში იქმნება მატერიალური დოვლათი ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც საზოგადოების არსებობის საფუძველია. საქმიანი ურთიერთობა თანამედროვე საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. თანამედროვე პირობებში შეუძლებელია ქვეყნის

ეკონომიკური განვითარება წარმოების, ფინანსური ინსტიტუტების და სხვა საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის გარეშე. ყოველივე ეს თანამედროვე ადამიანის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. საქმიანი ურთიერთობები, რომელიც ამ სფეროში წარმოიშობა, ბიზნესად იწოდება.

ყურადსაღებია, თანამედროვე ბიზნესის ეტაპები პირველყოფილი თემის უმარტივესი წარმოებიდან დღემდე.

მათგან შეიძლება გამოვყოთ ეკონომიკის განვითარების სამი პერიოდი:

1. „ბაზრამდე პერიოდი“, ტრადიციულ-ინსტიქტური ურთიერთობა, ადამიანები (ტომები) ჯგუფურად მოიპოვებდნენ მოხმარების საგნებს და ერთმანეთს უნაწილებდნენ (პირველყოფილი თემური წყობილება);

2. საბაზრო პერიოდი, როდესაც, უკვე გაჩნდა კერძო საკუთრება და საფუძველი ჩაეყარა საქონლის წარმოებას და ყიდვა-გაყიდვას (კაპიტალიზმის ეპოქა);

3. არასაბაზრო პერიოდი, დირექტიული ურთიერთობები, როდესაც არსებობს სახელმწიფო საკუთრება და შექმნილი დოვლათის განაწილება ადამიანებს შორის ხდება სახელმწიფოს მიერ (კომუნისტური წყობილება).

ბიზნესი შეიძლება ჩავთვალოთ ისეთ მოვლენად, რომელიც ცალსახად დამახასიათებელია მხოლოდ საბაზრო ეკონომიკისათვის.

პირველყოფილი საზოგადოების დროს უარი ეთქვა ხელით წარმოებას და მარტივი შრომის იარაღების გამოყენება დაიწყო. თვით უმარტივეს თემშიაც კი იყვნენ ადამიანები, რომელთათვისაც დამახასიათებელი იყო მიზანდასახულება, ინიციატივიანობა, გერგილიანობა და გარკვეული სამეწარმეო აქტივობა.

მოგვიანებით, მონათმფლობელურ ეპოქაში სამეწარმეო საქმიანობა კიდევ უფრო აქტუალური და მოთხოვნადი გახდა. სამეწარმეო საქმიანობის ძირითად ფორმად ხელოსნობა მოგვევლინა. ამ პერიოდის ხელოსნობის დანიშნულება იყო საქონლის (მომსახურების) წარმოება სხვა საქონელზე გადასაცვლელად.

ბიზნესის განვითარების შემდგომ საფეხურად ფეოდალიზმის ეპოქა გვევლინება, როდესაც მონა შედარებით მეტად თავისუფალი გლეხით ჩანაცვლდა. შუასაუკუნეების მრავალ ფილოსოფოსთა და ღვთისმეტყველთა

არაკთილგანწყობილი დამოკიდებულება მეწარმეობისადმი იმით იყო გამოწვეული, რომ იმ პერიოდში წარმოების გაბატონებულ ფორმად ისევ ნატურალური მეურნეობა რჩებოდა და მეწარმეობით ფუნქციებს ნაკლები როლი ეძლეოდათ.

ამ ეპოქაში ვაჭრობასთან ერთად თანდათან ხელოსნობაც ვითარდება. გვიანდელი შუა საუკუნეების პერიოდში (XV-XVIII ს.) თანდათანობით აქტუალური გახდა თანამედროვე, მოთხოვნადი საქონლის გამოშვების აუცილებლობა, რასაც ბიზნეს-გაერთიანებების (მანუფაქტურების) შექმნა მოჰყვა. მეტიც, თვით სახელმწიფოებმა დაიწყეს ზრუნვა, რომ ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნესებისათვის შეეწყოთ ხელი, რაც გამოიხატებოდა მათთვის სესხის მიცემით, სხვადასხვა შეღავათების დაწესებით, სახელოსნო სკოლების გახსნით და სხვ. ამ პროცესებს გამოკვეთილი სახე მიეცა საფრანგეთსა და ინგლისში, XVII-XVIII საუკუნეებში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოების მთავარი ძალა - მუშა არ იყო მოტივირებული ამ ეპოქაში, რამდენადაც მისი შრომის შედეგი მთლიანად ბიზნესის მესაკუთრეს რჩებოდა.

ევროპაში თვითრეგულირებად ბიზნესს საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. XVIII საუკუნეში ევროპული მეწარმეობის დამოუკიდებელი განვითარების ტრადიციები გამყარებული იყო დემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციებით.

საბაზრო სისტემაში საქონლისა და მომსახურების წარმოება ყოველთვის შეზღუდული რესურსების პირობებში განიხილება, საზოგადოების მრავალფეროვანი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით ეკონომიკა ოპტიმალური არჩევანის პრობლემას აწყდება.

კაცობრიობის არსებობა წარმოუდგენელია წარმოებისა და მოხმარების გარეშე. წარმოებასა და მოხმარებას შორის პროპორციების ურთიერთმიმართებას მიუძღვნა კვლევები უილიამ პეტიმ (პოლიტიკური არითმეტიკა, 1623-1674), ფრანსუა კენემ (ეკონომიკური ცხრილები, 1694-1774), ჯონ გრაუნტიმ (1620-1674). ამ მეცნიერებმა საფუძველი ჩაუყარეს ეკონომიკური პროცესების რაოდენობრივ ანალიზს.

საინტერესოა სხვადასხვა მეცნიერებისა და მკვლევარების აზრი ბიზნესთან მიმართებაში.

ფლორიდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯეფ მადურას აზრით, ბიზნესი არის საქონლითა და მომსახურებით სხვათა უზრუნველყოფისა და მოგების მიღების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი საქმიანობაა. „მეწარმეობა მოიცავს ბიზნეს იდეების ფორმირებას და რისკის აღების სურვილს. მეწარმეები არიან ადამიანები, რომლებიც მოიპოვებენ ახალ, უფრო ეფექტიან საშუალებებს სამი ეკონომიკური რესურსის (მიწა, შრომა და კაპიტალი) გამოსაყენებლად. ისინი იძენენ ნედლეულს, ქირაობენ მუშახელს, აბანდებენ თანხებს წარმოების საშუალებებში და ავითარებენ წარმოებასა და მომსახურებას. მეწარმეები ცდილობენ მოახდინონ ბიზნეს შესაძლებლობების იდენტიფიცირება. ისინი აბანდებენ თავიანთ ფულს ბიზნესის წამოსაწყებად მოგების მიღების მიზნით [Madura J., 2007].

ამერიკელი მკვლევარები რ. ხიზრიჩი და მ. პიტერსი მიიჩნევენ, რომ მეწარმეობა არის პროცესი, შეიქმნას რაიმე ახალი, ფასეული, ხოლო მეწარმე – ადამიანია, რომელიც ამისათვის მთელ დროსა და ძალას ხარჯავს, საკუთარ თავზე იღებს მთელ ფინანსურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ რისკს, ხოლო ჯილდოდ მიღწეულის გამო ფულსა და სიამოვნებას იღებს [ხიზრიჩი რ., პიტერსი მ., 1994].

ინგლისელი მეცნიერი ალან ხოსკინგი ბიზნესს განსაზღვრავს როგორც საქმიანობას, რომელსაც ახორციელებენ კერძო პირები და ორგანიზაციები იმისათვის, რომ მიიღონ სარგებელი წარმოებიდან ან მომსახურებიდან შემდგომში მათი საქონელზე, მომსახურებაზე ან ფულზე გაცვლით, რაც ურთიერთხელსაყრელია დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისათვის [Хоскинг А.,1993].

2. პროფესორი ი. მესხიას აზრით „ბიზნესი არის დამოუკიდებელი, საკუთარი რისკით განხორციელებული საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოგების სისტემატურ მიღებაზე ქონების გამოყენების, საქონლის გაყიდვის, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის გზით იმ პირების მიერ, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან დადგენილი წესის თანახმად“ [მესხია ი., 2011].

3. პროფესორები გ. ადეიშვილი და რ. ასათიანი მიიჩნევენ, რომ მეწარმეობა ცალკეული სუბიექტის ან სუბიექტთა ჯგუფის დამოუკიდებელი საქმიანობაა, რომლის მიზანს მატერიალური დოვლათის, ინტელექტის, ფასიანი მომსახურების წარმოება და რეალიზაცია შედეგად განსაზღვრული მოგების მიღება წარმოადგენს [ადეიშვილი გ., ასათიანი რ. 1998.].

4. მეწარმეობის ძირითადი ნიშან-თვისებები, რომლითაც იგი განსხვავდება ეკონომიკური საქმიანობის სხვა ფორმებისაგან, არის: 1) დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა, ინიციატივა, რისკი, დინამიკურობა; 2) საწარმოები, ფირმა ან საწარმოთა ერთობლიობა, რომელთა განსაზღვრული სახის საქმიანობის განხორციელების შედეგად ღებულობენ მოგებას. ჩვეულებრივ ისინი განცალკევებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოებია, რომლებიც ადმინისტრაციულად არ არის დამოკიდებული სახელმწიფო სხვა უწყებებზე და ორიენტირებულია ბაზარზე“ [ყამარაული ს., 2002.].

პროფ. ო. ქეშელაშვილის განმარტებით „ბიზნესი არის ცოდნისა და კომერციული საქმიანობის კონკრეტული სახეობების მთელი სისტემა, რომელიც მიმართულია პიროვნების მიერ საქონლის გამოშვებაზე (რაიმე მომსახურებაზე და ა.შ.), რომელსაც აქვს მომხმარებლისათვის სასარგებლო თვისებები, აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს და ეს ყველაფერი მოგების მიღებას უკავშირდება“ [ქეშელაშვილი ო.,1997].

ბიზნესისა და სამეწარმეო საქმიანობის მეცნიერული კვლევა და ანალიზი ძირითადად მეთვრამეტე საუკუნიდან იწყება. მეწარმის ცნება სამეცნიერო მიმოქცევაში ფრანგმა ეკონომისტმა რიჩარდ კანტილიონმა (1680-1734) შემოიტანა ნაშრომში “ნარკვევი ზოგადად ვაჭრობის ბუნების შესახებ" (ფრ. Essai sur la nature du commerce en général), რომელიც 1755 წელს გამოიცა. საზოგადოდ სწორედ მას მიაკუთვნებენ მეწარმეობის ერთ-ერთი პირველი კონცეფციის შემოტანას ეკონომიკურ მეცნიერებაში. კანტილიონის შეხედულებები მერკანტილიზმის, ფიზიოკრატებისა და ადამ სმიტის თეორიის ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლია [Бейтон А., Казорла А., Долло К., Дре А.,1999]. ნაშრომში სხვადასხვა

პრობლემებთან ერთად აღწერილია მეწარმეობის განსაკუთრებული როლი ეკონომიკაში. კანტილიონი „მეწარმის“ ცნებას შემდეგნაირად განმარტავდა: „მეწარმე – ეს არის ადამიანი, რომელიც ათვასებს რა საქმის სარგებლიანობას, თავის თავზე იღებს რისკსა და პასუხისმგებლობას, რომელიც დაკავშირებულია ახალი საწარმოს ორგანიზაციასთან, პროდუქციის, მომსახურების, ახალი იდეების დამუშავებასთან“ [თეთრუაშვილი მ., თეთრუაშვილი ზ., თეთრუაშვილი ი. 2008].

ინდუსტრიულ რევოლუციას უკავშირდება მეთვრამეტე საუკუნიდან ვენჩურული კაპიტალისტის (ინგლ. “Venture” - ნიშნავს რისკიანს, სახიფათო წამოწყებას) გაჩენა მესაკუთრე კაპიტალისტის გვერდით, რომელიც საქმიანობას წარმართავს სხვისი კაპიტალით. ვენჩურული კაპიტალისტი აქციის მფლობელთა სახსრებს აბანდებს სარისკო საწარმოში მაღალი მოგების მიღების მიზნით.

მეწარმეობის და შრომის დანაწილების პრობლემები სიღრმისეულად აქვს შესწავლილი ცნობილ შოტლანდიელ ეკონომისტს და მოაზროვნეს ადამ სმიტს (1723-1790). მისი მეთოდოლოგიის საფუძველია ლიბერალიზმის კონცეფცია, რომელიც გადმოიცა ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1776).

საბაზრო სისტემა მისი მონაწილეების კოორდინირებას ახდენს. იგი ემყარება კონკურენციის მექანიზმს, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ არსებობს მრავალი მწარმოებელი, რომელიც ბაზარს საკუთარ პროდუქციას, მომსახურებას სთავაზობს და მომხმარებელს აქვს არჩევანის საშუალება. ამგვარი სისტემა, რომლის საფუძველია შრომის დანაწილება, რესურსების ეფექტიან განაწილებას, წარმოების სტაბილურობასა და ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს. ადამ სმიტის აზრით, მეწარმე წარმოადგენს კაპიტალის მესაკუთრეს, რომელიც განსაზღვრული კომერციული იდეის რეალიზაციისათვის და გარკვეული მოგების მისაღებად მიდის რისკზე, რამდენადაც კაპიტალის ჩადება ამა თუ იმ საქმეში ყოველთვის მოიცავს რისკის გარკვეულ ელემენტებს. სამეწარმეო მოგება იყო და იქნება მესაკუთრის კომპენსაცია გაწეული რისკისთვის. მეწარმე თავად გეგმავს, ორგანიზებას უწევს საწარმოს, რეალიზებას უკეთებს სარგებელს, რომელიც დაკავშირებულია შრომის

დანაწილებასთან, ასევე ხელმძღვანელობს სამეწარმეო საქმიანობის შედეგებს [სმიტი ა.,1938].

კლასიკოსთა შეხედულებები მეწარმეობის მარქსისტული კონცეფციის ერთ-ერთი ამოსავალი პუნქტი გახდა. კ. მარქსი მეწარმეში მხოლოდ კაპიტალისტს ხედავდა, რომელიც თავის კაპიტალს აბანდებს საკუთარ საწარმოში და დაქირავებულ მუშათა მიერ შექმნილი პროდუქციის ღირებულებასა და მათთვის გადახდილ ხელფასს შორის განსხვავებაში მოგებას ღებულობს.

მცირე საწარმოს შეუძლია ხელი შეუწყოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ამოცანის გადაჭრას ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტითაც, როგორიცაა საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება. იგი საკუთარ თავზე იღებს ეროვნული მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზმისათვის აუცილებელი ისეთი ფუნქციების შესრულებას, რომელსაც ვერ ახორციელებენ მსხვილი საწარმოები: საინფორმაციო-საკონსულტაციო და აუდიტორული ფირმები; კადრების მომზადების, შერჩევის და შეფასების ცენტრები; სავალუტო და საფონდო ბირჟები; საწარმოო განვითარების და ტექნიკური მომსახურების ფირმები და ა.შ. სახსრების სწრაფი ბრუნვადობის გარდა მცირე საწარმოს ეფექტიანობის ზრდის წყაროს წარმოადგენს. მცირე კოლექტივში მომუშავეთა ურთიერთდამოკიდებულება, მათ შორის ნდობის ფაქტორი განსხვავებული პრინციპებით ქმნის მმართველობის შესაძლებლობას, განსხვავებით ტრადიციული სახელმწიფო კოლექტივების, რომლებიც „გუნდის“ ნებისმიერი წევრისაგან ითხოვენ მაღალ პროფესიულ მომზადებას.

მცირე საწარმოს მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას წარმოადგენს ის, რომ მას შეუძლია დიდ მასშტაბებში „შთანთქოს“ დაუსაქმებელი მუშახელი, რომელიც გამონთავისუფლებულია მსხვილი საწარმოებიდან, შეამციროს ან განმუხტოს ეკონომიკური კრიზისის პირობებში წარმოქმნილი სოციალური დაძაბულობა. ამდენად, ნებისმიერი რეფორმისა თუ ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი სწორედ სამეწარმეო აქტივობის გამოცოცხლება უნდა იქცეს, რომლის „ლომის წილი“ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე მოდის.

მცირე საწარმოთა ფუნქციონირების ანალიზმმა სასუალება მოგვცა წარმოვაჩინოთ მისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ძლიერი მხარეებია: კონკურენციის გამწვავება, სიახლეთა სწრაფი დანერგვა, დასაქმების ხელშეწყობა, ბაზრისა-თვის საქონლის (მომსახურების) განსაკუთრებული სახეობების შეთავაზება, საგადასახადო შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა, მონოპოლიზმის განეიტრალება, ელასტიურობა და მოქნილობა საქმიანობაში, პროფილის შეცვლის სიიოლე, წამოწყების სიიოლე, მოქნილი მენეჯმენტი, ტრადიციულ გემოვნებასთან და სტანდარტებთან იოლად შეგუება.

სუსტი მხარეებიდან აღსანიშნავია: დაბალი კონკურენტუნარიანობა, საკრედიტო რესურსებისადმი ნაკლები ხელმისაწვდომობა, საქმიანობის წარმართვის გამოუცდელობა, კაპიტალდაბანდების დაკარგვის მაღალი რისკი, ბიზნეს-პარტნიორებისაგან ნდობის შედარებით ნაკლები ხარისხი.

მეწარმეობის თანამედროვე გაგება ჩამოყალიბდა კაპიტალიზმის ფორმირებისა და განვითარების პერიოდში, რომელმაც თავისუფალი მეწარმეობა აირჩია აყვავების საფუძვლისა და წყაროს სახით. საბაზრო სისტემის მთავარი ინსტიტუტი კერძო მეწარმეობა და არჩევანის თავისუფლებაა, რაც მჭიდროდ უკავშირდება კერძო საკუთრებას. მეწარმეობის თავისუფლება ნიშნავს, რომ მეწარმეები თავისუფალნი არიან გადაწყვეტილების მიღებაში: რა აწარმოონ და რომელ დარგში შევიდნენ ან გამოვიდნენ. ამასთან, ფულადი კაპიტალისა და მატერიალური რესურსების მფლობელები მათ გამოიყენებენ თავიანთი შეხედულებებისამებრ.

წარმატებული მეწარმეები ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ყველა სხვა ადამიანი. პროფ. ჯეფ მადურა მათ საერთო ნიშან-თვისებებში გამოყოფს ხასიათის სამ უმნიშვნელოვანეს შტრიხს:

1. რისკისადმი ტოლერანტობა (შემგუებლობა). მეწარმეები გაგებით ეკიდებიან, აცნობიერებენ და ეგუებიან იმ რისკს, რასაც ზარალის შემთხვევაში ბიზნესში ჩადებული ინვესტიციების დაკარგვა ჰქვია.

2. შემოქმედებითობა. მეწარმეებს კარგად აქვთ გათავისებული, თუ რა გზებით გაზარდონ მომხმარებლების კმაყოფილება. მათ შეიძლება ისეთ საქონელზე ან მომსახურებაზე იწინასწარმეტყველონ, ანუ აღმოაჩინონ

მოთხოვნილება (საჭიროება), რომელიც ჯერ ბუნებაში არ არსებობს; ხოლო შემდეგ ცდილობენ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ზოგჯერ მეწარმეები ამჩნევენ, რომ არსებულ საქონელს ან მომსახურებას გარკვეული ნაკლი გააჩნია და ცდილობენ მათ გაუმჯობესება-დახვეწას.

3. ინიციატივა. მეწარმეები იღებენ ინიციატივას, რათა თავიანთი იდეები სისრულეში მოიყვანონ. მათ გააჩნიათ ამბიციები, ახალ-ახალ გამოწვევებთან ბრძოლის შესაშური ჟინი და შეუპოვრობა [Madura J.,2007]

თანამედროვე მეცნიერულ ლიტერატურაში განმტკიცდა ცალსახა შეხედულება მეწარმეობაზე, როგორც უმნიშვნელოვანეს სამეურნეო რესურსზე, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს წარმოების დანარჩენი ფაქტორები და ამით უზრუნველყოფს თავის წვლილს ეკონომიკური განვითარების წარმატებაში. მაგრამ მეწარმეობის არსის გასაგებად საჭიროა გავითვალისწინოთ მეწარმის ყველა ფსიქოლოგიური თვისება.

თანამედროვე პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესი წარმატებით ითავსებს ისეთ მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციებს, როგორიცაა:

1. ენერგიული, გერგილიანი და უნარიანი ადამიანების წარმოჩენა, რომელთათვისაც მცირე და საშუალო ბიზნესი თვითრეალიზაციის ერთგვარ ასპარეზად იქცევა;

2. მესაკუთრეთა რიცხოვნობის ზრდის ხელშეწყობა, რაც ცივილურ საზოგადოებაში საშუალო კლასის ფორმირების საფუძველია;

3. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა შედარებით დაბალი დანახარჯებით;

4. სწრაფი გადამზადებით პროფესიის შეცვლის ან შეთავსების მაღალი შესაძლებლობა საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გარეშე;

5. დეკვალიფიცირებული სამუშაო ძალის შედარებით სწრაფად დასაქმების შესაძლებლობა;

საქართველოს კანონმდებლობით „ბიზნესის“ ცნება არ განისაზღვრება, ხოლო „მეწარმეობას“ განმარტავს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“.

მეწარმეობა უფრო ხშირად უკავშირდება მატერიალური წარმოების პროცესს, როდესაც იქმნება პროდუქცია მატერიალურ-ნივთობრივი ფორმით, მოგების მიღების მიზნით. ამასთან, იგი არაერთჯერადი, შემოქმედებითი და ინოვაციური საქმიანობაა და სიახლეების დანერგვას მოითხოვს. ბიზნესი კი შეიძლება იყოს ნებისმიერი მართლზომიერი საქმიანობა, რომელსაც მოგება მოაქვს.

1.3. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საზღვარგარეთის ქვეყნებში

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საკითხი ძალზე აქტუალურია საქართველოში არსებული ეკონომიკის მოდერნიზაციის პირობებში. მცირე და საშუალო ბიზნესს მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ნებისმიერ ქვეყანაში: იგი უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას, ხელს უწყობს ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას, ბაზარს ამარაგებს ახალი საქონელითა და მომსახურებით და აკმაყოფილებს მსხვილი საწარმოების მოთხოვნებს.

ბოლო წლებში არაერთი ქართველი მეცნიერისა და მკვლევარის ნაშრომი გამოიცა ქვეყანაში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებასთან დაკავშირებით, რომლებიც გვთავაზობენ სხვადასხვა ღონისძიებებს მათი ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად. აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების დონე მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელს. მიზერულია სახელმწიფო დახმარებაც მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე კარგი იქნებოდა ყურადღება გაგვემახვილებინა საზღვარგარეთის ქვეყნების მცირე და საშუალო საწარმოების მდგომარეობაზე და მოგვეხდინა მათი ანალიზი. მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირებისა და მხარდაჭერის საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლა და ანალიზი სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებს დაეხმარება მეწარმეობის მხარდაჭერის ეფექტიანი პროგრამების შემუშავებაში [Агеев А. 2004].

განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება მაღალი ტემპით მიმდინარეობს, რადგან ეროვნული მთავრობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ასეთ საწარმოებს და მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ: ადგენენ და ახორციელებენ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამებს და უწესებენ მათ მნიშვნელოვან შეღავათებს. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი საშუალო კლასის ფორმირების საფუძველია, რომელიც ეკონომიკის სტაბილური განვითარების ბაზას წარმოადგენს და მოსახლეობის დიდ ნაწილს ასაქმებს. განვითარებულ ქვეყნებში მშპ-ს 50-70%-ს მცირე და საშუალო კომპანიები აწარმოებენ.

უკანასკნელ პერიოდში, მცირე ბიზნესმა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-თვის არნახული მნიშვნელობა შეიძინა. მცირე საწარმოთა ძირითადი მასა არიან კომპანიები, სადაც 20 კაცზე ნაკლებია დასაქმებული. ახალი სამუშაო ადგილების 2/3-ის ფორმირებას სწორედ მცირე საწარმოები უზრუნველყოფენ.

მცირე საწარმოები ეფექტიანად ფუნქციონირებენ არა მარტო სამომხმარებლო სფეროში, ასევე მრეწველობის გადამამუშავებელ დარგებში, როგორც ცალკეული მცირე მექანიზმების, დეტალების და ნახევარფაბრიკატების მწარმოებლები, რომელთა გამოშვება არარენტაბელურია მსხვილი საწარმოებისათვის. რაც საფუძვლად უდევს დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკებში მცირე საწარმოების განსაზღვრის და მათი როლის მიმართ სისტემურ მიდგომას.

მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოცემული ქვეყნის დარგობრივი სპეციფიკა და ეკონომიკური მექანიზმები. ეროვნული განსაკუთრებულობები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართულობის შესაძლებლობაში რეალური სექტორის საწარმოო პროცესებში.

განვიხილოთ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდენციები განვითარებული ქვეყნების მაგალითებზე.

აშშ-ის კანონმდებლობის თანახმად, მცირე და საშუალო ბიზნესის კატეგორიას განეკუთვნებიან სამეურნეო სუბიექტები, რომლებშიც დასაქმებულია

არაუმეტეს 500 ადამიანისა. ყველა მცირე და საშუალო საწარმო აშშ-ში იყოფა 3 კატეგორიად:

1. მიკროსაწარმოები - ფირმები, სადაც თანამშრომლების რაოდენობა არ აღემატება 20 კაცს;
2. მცირე საწარმოები - 20-დან 100 კაცამდე;
3. საშუალო საწარმოები - 100-დან 499 კაცამდე;

ცალკე აღსანიშნავია საწარმოები, სადაც გამოიყენება დაქირავებული მუშახელი და საწარმოები, სადაც ფირმის მეპატრონეს არ ესაჭიროება მუშახელის დაქირავება.

მცირე და საშუალო მეწარმეობა აშშ-ში ფუნქციონირებს: მატერიალურ წარმოებაში, ფინანსურ სექტორში, ვაჭრობაში, სოციალური მომსახურების სექტორსა და ინოვაციის სფეროში. მცირე საწარმოების რიცხვი აშშ-ში განუწყვეტლივ იზრდება.

მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობის წვლილი მეცნიერების განვითარებისა და ახალი პროდუქციის ათვისებაში: აშშ-ში გამოგონებათა ძირითადი ნაწილი სწორედ მცირე და საშუალო სპეციალიზირებული ფირმების წილად მოდის.

აშშ-ში მცირე ბიზნესზე ვრცელდება სპეციალური საგადასახადო შეღავათები. ასეთია მაგალითად, "პირველი წლის ბონუსი", როცა გადასახადი გადაიხდება დასაბეგრი თანხის მხოლოდ ნახევარზე. ფედერალური გადასახადების აბსოლუტური და შეფარდებითი ოდენობების შემცირება ხელს უწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას, სტიმულს იძლევა საშუალო საწარმოების გასახსნელად, აძლიერებს მათ პოზიციებს ამერიკის ეკონომიკაში, ეს კი ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უწყობს ხელს.

ასევე ხორციელდება მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სპეციალური სამთავრობო პროგრამა ეროვნული უმცირესობებისათვის, რასაც საფუძვლად უდევს კანონი „თანაბარი შესაძლებლობების შესახებ" და კანონი „საზოგადოებრივი სამუშაოებისა და ეკონომიკური განვითარების შესახებ". 2007

წლისათვის 3 მილიონი მცირე საწარმო ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს ეკუთვნოდა [გოგიაშვილი ო, 2013].

როგორც ზემოთ მოტანილი ანალიზი ცხადყოფს, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა აშშ-ში საკმაოდ მაღალ დონეზეა. რაც, თავის მხრივ, ხელსაყრელ კლიმატს ქმნის ქვეყანაში მცირე და საშუალო მეწარმეობის განსავითარებლად. აშშ-ის შრომის დეპარტამენტის მონაცემებით ქვეყანაში ყოველწლიურად 800 ათასზე მეტი ბიზნესი იქმნება.

მრავალი წლის განმავლობაში ესპანეთის მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრუქტურა. ორგანიზაციის ფორმისა და საქმიანობის შედეგების მიხედვით სამაგალითოდაა მიჩნეული. ასეთი შეფასების მთავარ არგუმენტია ამ სახის ბიზნესისაგან მშპ-ის 72%-ის ფორმირება.

ესპანეთში შემუშავებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების უამრავი პროგრამა. მათთვის, ვინც საკუთარი საქმის წამოწყებას აპირებს, შემუშავებულია და წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა დამხმარე პროგრამები. მეწარმე პირველი ხუთი წლის განმავლობაში არ იხდის გადასახადებს, აგრეთვე შესაძლებლობა აქვს ბიზნესის გასაფართოებლად ისარგებლოს უვადო კრედიტით. ესპანეთის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მცირე საწარმოებს, რომელთაც დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვთ ქვეყნისათვის: ქმნიან სამუშაო ადგილებს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის, ხელს უწყობენ ნაკლებად განვითარებული რეგიონების განვითარებას. ესპანეთში სახელმწიფო მრავალ წამახალისებელ პროგრამას ახორციელებს [В.Л. Верникова. 2010].

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მთავარ დადებით ფაქტორად ესპანეთში შეიძლება დავასახელოთ ბიუროკრატიის მინიმალური დონე. საწარმოს რეგისტრაცია და ლიცენზიის აღება განაცხადის შეტანიდან 24 საათში ხდება. ეს პროცესი უცხო ქვეყნის მოქალაქისათვისაც არ წარმოადგენსბ პრობლემას. მინიმუმადეა დაყვანილი სახელმწიფო სტრუქტურების მაკონტროლებელი ფუნქციები.

საფრანგეთში „მცირედ“ ითვლება საწარმო, რომელშიც 50-მდე კაცია დაკავებული. დღეისათვის საფრანგეთში რეგისტრირებულია 3 მილიონამდე მცირე და საშუალო საწარმო. აქედან ნახევარი მუშაობს მომსახურების სფეროში, 780 ათასი - ვაჭრობაში, 350 ათასი - მშენებლობაზე, 303 ათასი - მრეწველობაში. ყოველწლიურად ქვეყანაში იქმნება 250 ათასი საწარმო და კოტრდება 50 ათასი. ამასთან, საფრანგეთში შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების 40-50% მოდის სწორედ მცირე საწარმოებზე. 3 მილიონი მცირე საწარმოდან დაახლოებით 1.5 მილიონი ეკუთვნის ინდივიდუალურ ან საჯახო ბიზნესს, რომელიც საქმიანობას ეწევა დაქირავებული პერსონალის გარეშე, ხოლო 1200 საწარმოში კაცამდეა დასაქმებული [გოგიაშვილი ო, 2013].

საფრანგეთში მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის საკითხში შეიძლება გამოვყოთ რამოდენიმე საკვანძო საკითხი. უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში შეიქმნა მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების სერიოზული სახელმწიფო სისტემა. ახალი მცირე საწარმოები ორი წელი თავისუფლდებიან სააქციო საზოგადოებების და ადგილობრივი გადასახადებისგან. მათთვის შემცირებულია საშემოსავლო გადასახადი და გადასახადი მოგების ინვესტირებადი ნაწილისაგან. სახელმწიფო განსაკუთრებით ლოიალურია მათდამი, ვინც საკუთარი ბიზნესის გახსნას ეკონომიკურად დეპრესიულ რეგიონებში აპირებს. ასეთ მეწარმეებზე ვრცელდება შეღავათები ან საერთოდ თავისუფლდებიან სოციალური უზრუნველყოფის ფონდებში შესატანი გადასახადებისაგან (ჯანდაცვა, უმუშევართათვის განკუთვნილი დახმარებები, საპენსიო ფონდები, ფონდები მრავალშვილიანებისათვის და ა.შ.). უმუშევართათვის, რომლებმაც საკუთარი ბიზნესის წამოწყება გადაწყვიტეს, მოქმედებს დახმარებების სპეციალური სისტემა. ისინი სამი წლით თავისუფლდებიან გადასახადების გადახდისაგან და ერთი წელი არ იხდიან სავალდებულო სოციალურ შენატანებს სოცდაზღვევის ფონდებში. მცირე საწარმოების თითქმის ყველა მეპატრონეს შეუძლია ჰქონდეს შეღავათიანი კრედიტისა და სუბსიდიის იმედი.

საწარმოთა დაფუძნება, წახალისება და მათი გაკოტრების თავიდან აცილება სახელმწიფოსა და ბიზნესის თანამშრომლობის მთავარ სფეროს წარმოადგენს [30]. ამას კურისრებს სპეციალური დაწესებულება - „საწარმოთა დაფუძნების ეროვნული სააგენტო“, რომელიც არა მარტო ეხმარება კერძო მეწარმეებს, არამედ ცდილობს საწარმოების დაცვას გაკოტრებისაგან.

საწარმოთა დაფუძნებისას მეწარმეებს სახელმწიფო დახმარებას უწევენ ტერიტორიული მოწყობის სამინისტროების ორგანოები, სავაჭრო-სამრეწველო პალატები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები - რეგიონული და გენერალური საბჭოები, ასევე მსხვილი კორპორაციების მიერ შექმნილი კერძო ფონდები, რომლებიც, თავის მხრივ, მიზნობრივ საგადასახადო შეღავათებს იღებენ.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგების გასანეიტრალებლად სახელმწიფომ 2 მლრდ. ევროს მოცულობის ფონდი შექმნა, რომლის სახსრებიც მიმართული იყო მცირე და საშუალო ბიზნესის ინვესტირებისა და დაკრედიტებისათვის.

დიდ ბრიტანეთში მცირე საწარმოს მიეკუთვნება ისეთი საწარმო, რომელშიც მომუშავეთა რაოდენობა არ აღემატება 50 კაცს, ხოლო საწარმოო ბრუნვა - არ აღემატება 2,8 მლნ. გირვანქა სტერლინგს, ან საწარმოო ბალანსი არ აღემატება 1,4 მლნ.გირვანქა სტერლინგს. აღნიშნული სისტემა ცოტათი ბუნდოვანია, ვინაიდან მომუშავეთა მცირე რიცხოვნობის მიუხედავად, ასეთ საწარმოს შეუძლია მოახდინოს მნიშვნელოვანი ბრუნვის გენერირება. შესაბამისად, სტატისტიკური აღრიცხვისთვის გამოიყენება მხოლოდ რიცხოვნობის მაჩვენებელი [ვაშაკიძე თ. 2009].

ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოების საერთო რაოდენობა აღემატება 2600 ათასს, ანუ 46 საწარმო 1000 სულ მოსახლეზე. მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია მშპ-ში 50-53%-ის ფარგლებში მერყეობს. მცირე ბიზნესის საწარმოებში დასაქმებულია 13,6 მლნ. კაცი, რაც შეადგენს დასაქმებულთა საერთო

რაოდენობის 49%-ს. აღნიშნული კრიტერიუმით, დიდი ბრიტანეთის საწარმოების 99%-ს წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმოები.

სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია მცირე და საშუალო ბიზნესის მატერიალური დახმარება. აღნიშნული დახმარების მიზნობრივ მიმართულებას წარმოადგენს: ფინანსური რესურსებისადმი მცირე ბიზნესის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; საგადასახადო ტვირთის და ადმინისტრაციული შეზღუდვების შემცირება; კონსალტინგური და იურიდიული მომსახურების გაწევა.

სახელმწიფო ხელშეწყობა ითვალისწინებს მცირე ბიზნესისათვის დახმარების პროგრამებს, რომლებიც შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

- ახალი და მომქმედი ფირმების კონსულტაციის პროგრამები;
- ფინანსური დახმარების განხორციელების პროგრამები;
- მცირე ფირმების საექსპერტო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამები;
- შოტლანდიაში, უელსში, ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედებს მცირე ფირმების დახმარების რეგიონული პროგრამები.

გარდა იმ პროგრამებისა, რომლებს გააჩნიათ უნივერსალური მახასიათებლები, დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ მცირე საწარმოების დახმარებას ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში (გარემოს დაცვა, სამეცნიერო კვლევები უახლეს დარგებში და ა.შ.). მაგ., მცირე საწარმოებს შორის ტარდება ყოველწლიური კონკურსი საუკეთესო კომერციული სტრატეგიის შემუშავებისა და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის რეალიზაციის საკითხებში [გოგიაშვილი ო, 2013].

დიდი ბრიტანეთის მცირე საწარმოები გათავისუფლებული არიან მოგების გადასახადისაგან ინფორმაციულ და ტელეკომუნიკაციურ ტექნოლოგიებზე მიმართულ სახსრებზე, აგრეთვე ღებულობენ შეღავათებს დღგ გადახდისას და ქონების ადგილობრივ გადასახადზე. ის საწარმოები, რომელთა ბრუნვა არ აღემატება 56 ათ. გირვანქა სტერლინგს, საერთოდ არ ექვემდებარებიან რეგისტრაციას სამეფო სამსახურის საბაჟო და აქციზების ადგილობრივ განყოფილებებში დღგ ან აქციზის გადახდის მიზნით.

მოგების გადასახადის პროგრესული სკალა, რომელიც მოქმედებს გაერთიანებულ სამეფოში, ყველაზე მეტად მცირე და საშუალო ბიზნესისთვისაა მოგებიანი.

დიდ ბრიტანეთში მოქმედებს მცირე საწარმოებზე გარანტირებული სესხების პროგრამა. პროგრამის მიხედვით, მცირე ბიზნესის სამსახური კომერციულ ბანკს კრედიტების ღირებულების 75%-მდე დაბრუნების გარანტიას აძლევს მცირე საწარმოს გადახდისუუნარობის შემთხვევაში. სესხების კონკრეტულ პირობებს კომერციული ბანკი ადგენს, ხოლო სახელმწიფო ორგანოები ღებულობენ გადაწყვეტილებას მხოლოდ მისი გარანტირების შესრულების შესახებ.

გარანტირებაზე უარის თქმის ძირითად მიზეზს კრედიტის მიზნობრივ გამოყენებაზე შეზღუდვა წარმოადგენს. გარანტიების დასაფარად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფილია საშუალოდ 50 მლნ. გირვანქა სტერლინგი.

ბრიტანეთის მთავრობის და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, ბრიტანეთის მცირე საწარმოები ყველაზე საიმედონი არიან ევროპაში. ამას ადასტურებს კვლევები, რომელიც ჩატარდა დიდი ბრიტანეთის ვაჭრობის და მრეწველობის დეპარტამენტის მიერ ევროპის ცხრა სახელმწიფოში. დიდ ბრიტანეთში ახლად რეგისტრირებული მცირე საწარმოების 90%-ზე მეტი ერთ წელიწადზე მეტ ხანს ფუნქციონირებს, ხოლო 70% - სამი და მეტი წლის განმავლობაში [www.nisse.ru].

გერმანიაში მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ გადაწყვეტილებები ფედერაციის, მიწების, საქალაქო თვითმმართველობებისა და თემების დონეზე მიიღება. ბოლო პერიოდში ამ პროცესში ფართოდაა ჩართული ევროკომისია.

სახელმწიფო მმართველი ორგანოს განტვირთვის მიზნით, მცირე და საშუალო ბიზნესის (მსბ) მხარდაჭერის რიგი ფუნქციები ეკუთვნის ზოგიერთ საზოგადოებრივ-სამართლებრივ ინსტიტუტს, კერძოდ კი სპეციალიზებულ ბანკებზე და კერძო ბიზნესის თვითმარეგულირებელ ორგანიზაციებს (მაგ., სავაჭრო-სამრეწველო პალატები).

გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა მოიცავს 500-ზე მეტ ფედერალური და რეგიონული მნიშვნელობის პროგრამებს,

რომლებიც ხელს უწყობენ ინვესტიურ აქტივობებს. მხარდაჭერა გულისხმობს ტექნოლოგიებისა და შესაბამისი ეკონომიკური ინფორმაციის მიწოდებას, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვადასხვა ეკონომიკურ და ტექნიკურ კონსულტაციებს, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმძღვანელების და მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებასა და სწავლების დაფინანსებაში.

აგრეთვე ხდება დახმარების გაწევა საწარმოს საწყისი კაპიტალის ფორმირებაში, როდესაც საქმე გვაქვს უპირატესად გრძელვადიან დაბანდებასთან (მაგ., რაციონალიზაცია, მოდერნიზაცია, გაფართოება, საწარმოს სიმძლავრეთა გაზრდა).

მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესები სპეციალური კანონებით და სამართლებრივი აქტებითაა დაცული (ანტიმონოპოლური კანონმდებლობის დებულებები და საბუღალტრო აღრიცხვის ნორმატიული დოკუმენტები). მათი ნაწილი უკავშირდება ინვესტიციებს მცირე და საშუალო ბიზნესის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.

ყურადსაღებია აგრეთვე მცირე და საშუალო ბიზნესის ირიბი დახმარება: მოქმედებს საგადასახადო შეღავათები, რომლებიც ათავისუფლებენ ამ კატეგორიის საწარმოებს საშემოსავლო გადასახადისაგან გარკვეულ ფარგლებში და მოქმედებს ამორტიზაციის განსაკუთრებული ნორმები წარმოებაში ინვესტიციების სტიმულირებისათვის).

გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესის პირდაპირი მხარდაჭერის შემდეგი სახეები მოქმედებს:

- სახელმწიფო საინვესტიციო წანამატები ან სუბსიდიები, რომლებიც ძალზე იშვიათად გაიცემა დაბრუნების პირობით. მათ გაანგარიშებას ინვესტიციების გეგმიური მოცულობა უდევს საფუძვლად. წანამატები არ იბეგრება და გამოიყენება მოთხოვნის საფუძველზე. სუბსიდიები კი იბეგრება და მათი წარდგენა გამანაწილებელი ორგანოს მოთხოვნით ხდება;
- შეღავათიანი კრედიტების გაცემა, რომელიც ხშირდ გამოიყენება ფედერალურ და რეგიონულ დონეზე. შეღავათიან კრედიტებში იგულისხმება ფარული ფინანსური დახმარება, რადგან ეს თანხა წარმოადგენს საბაზრო და

შეღავათიან საკრედიტო განაკვეთებს შორის სხვაობას (საკრედიტო სუბსიდია) [www.ifm-bonn.org].

სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შეღავათიანი კრედიტების გაცემის დოტაციები შეადგენს თანხის 3-10%-ს. სპეციალიზებული ბანკების პროგრამების თანახმად, რომელთა დაფინანსება ხდება საკუთარი სახსრებით, საკრედიტო განაკვეთები მიახლოებულია საბაზრო განაკვეთებთან, ე.ი. კრედიტების ღირებულება მნიშვნელოვნად მაღალია ვიდრე ფედერალურ ან მიწის პროგრამები.

მცირე და საშუალო ბიზნესისათვის შეღავათიანი კრედიტების გაცემა საერთო წესების მიხედვით წარმოებს, ყურადღება ექცევა მხოლოდ კრედიტუნარიანობას. კრედიტის მისაღებად განაცხადები წარედგინება გერმანულ კომერციულ ბანკებს, რომლებიც ახდენენ კრედიტების გაცემას და შემდგომში მუშაობენ კლიენტებთან.

შეღავათიანი კრედიტის გაცემის პირობებში იგულისხმება:

- დაბალ საპროცენტო განაკვეთს (როგორც წესი, კრედიტის გაცემის მთელ პერიოდში);
- კრედიტის გაცემის ხანგრძლივ პერიოდს (ხშირად ათი წელი, თანაც მინიმუმ პირველი ორი წლით საწარმო თავისუფალია ყველა სახის გადასახადისაგან);
- აღებული თანხების დაბრუნების შესაძლებლობას ნებისმიერ დროს (ხშირად დამატებითი გადასახადების გარეშე);
- წილობრივი დაფინანსება (სპეციალიზებული ბანკების დაფინანსება გამოყენება საინვესტიციო პროექტის ნაწილზე. პროექტის დარჩენილი ნაწილი უნდა დაფინანსდეს ინვესტორის მიერ ან სხვა სახის სესხებით) [გოგიაშვილი ო, 2013].

საწარმოს გახსნისას, ინვესტიციების 40%-მდე შესაძლებელია გარანტიების გარეშე დაფინანსდეს. მათ შორის, სესხი უპროცენტოა პირველი ორი წლის განმავლობაში, გაიცემა 20 წლამდე და არ ექვემდებარება დაბრუნებას პირველი 10 წლის განმავლობაში (მაქსიმალური თანხა 1 მლნ. მარკა ან მისი ექვივალენტი). ასეთი დაფინანსება ენაცვლება დამწყები მეწარმის საწყის კაპიტალს და

სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს თანხის დაუბრუნებლობის რისკს. არასაკმარისი კაპიტალის უდიდესი წილი შეიძლება სპეციალური შეღავათიანი კრედიტების სახით იქნას მიღებული, რომელიც გაიცემა დამწყებ მეწარმეზე. კრედიტის გაცემა ხდება 20 წლამდე ვადით წლიური 5%-ით და იფარება საინვესტიციო პროექტის ღირებულების 50%-მდე (მაქსიმალური თანხა 1 მლნ. მარკა ან მისი ექვივალენტი).

სახელმწიფო პროგრამებისა და სპეციალიზებული ბანკების პროგრამების საშუალებით შეიძლება მოხდეს კერძო საინვესტიციო კომპანიების წილობრივი მონაწილეობით დაფინანსება ახალ და მოქმედ მცირე და საშუალო საწარმოების კაპიტალში. შესატანი წილის მაქსიმალური ოდენობაა -1,5 მლნ. მარკა 10 წლამდე ვადით. ამ შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა საინვესტიციო კომპანიებს ეკისრებათ.

გერმანიაში არსებობს სპეციალიზებული საგარანტიო ბანკები, რომლებიც იღებენ საკუთარ თავზე რისკს კრედიტის 10%-მდე დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ან ფლობენ კაპიტალის წილს (არა უმეტეს 1,5 მლნ მარკა). ეს ძალზედ მნიშვნელოვანია ისეთი მცირე და საშუალო ბიზნესებისათვის, რომელთაც არ აქვთ სესხის აღების შესაძლებლობა. საგარანტიო ბანკის რისკის 60%-მდე ფარავს ფედერაცია და მიწა, რომელზეც განლაგებულია ბანკი.

წანამატებისა და სუბსიდიების გარდა რეგიონული მხარდაჭერის ინსტრუმენტს წარმოადგენს ამორტიზაციის შეღავათიანი რეჟიმი. პირველ რიგში, იგი ეხება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აღმოსავლეთ მიწების ეკონომიკის აღორძინების საინვესტიციო კრედიტებს (კრედიტის მაქსიმალური თანხაა 2 მლნ. მარკა 5-დან 20 წლამდე პერიოდით და პირველი 5 წლის განმავლობაში გადახდის გადავადებით. 20 წლის მყარი საპროცენტო ტარიფია- წლიური 5%-მდე).

სახელმწიფოს მიერ აგრეთვე ხდება მცირე და საშუალო ბიზნესის სუბსიდირება საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობისას. ფედერალური მთავრობა ხელს უწყობს განვითარებად ქვეყნებში განლაგებულ გერმანულ მცირე და საშუალო საწარმოებს და იძლევა პოლიტიკური რისკების გარანტიებს [გოგიაშვილი ო, 2013].

თავი 2. მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების ფორმები და მექანიზმები

2.1. სახელმწიფო მხარდაჭერის როლი და მნიშვნელობა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში

განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესს მთელი რიგი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციები აკისრია. კერძოდ, დასაქმების უზრუნველყოფა, კონკურენტული გარემოს ფორმირება, ინოვაციური აქტივობის მხარდაჭერა, სოციალური უთანასწორობის შერბილება და სხვა. მცირე ბიზნესის საწარმოები უმეტესწილად სპეციალიზირდებიან საბითუმო ვაჭრობაში (ფირმების საერთო რაოდენობის 17%), კომპიუტერული ტექნიკის მომსახურებასა (ფირმების საერთო რაოდენობის 17%) და ვაჭრობაში (ფირმების საერთო რაოდენობის 12%). ყველაზე დინამიურად განვითარებად სექტორად ტრანსპორტი და კავშირგაბმულობაა მიჩნეული [მესხია ი., 2011].

მთავრობებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს შესაძლებლობა აქვთ წაახალისონ კერძო სექტორის ინვესტიციები ისეთ სფეროებში როგორიცაა: სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, მეწარმეობა, პროფესიული განათლება, და სხვ.

ქვეყნების მიხედვით მეწარმეობის განვითარების ცენტრების ყველაზე გავრცელებული სახეებია:

აზერბაიჯანში, სადაც შექმნილია 40-ზე მეტი რეგიონალური საკონსულტაციო ცენტრი, რომლებიც ახორციელებენ მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ბელარუსში მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი – "ბელბიზნესცენტრი" კონსულტაციებს უწევს პოტენციალურ მეწარმეებს ბიზნესის ორგანიზაციის საკითხებზე. იგი აწვდის მათ ინფორმაციას ბაზრების შესახებ და ეხმარება კორპორაციული დოკუმენტაციის შექმნაში, იძლევა რეკომენდაციებს დაბეგვრის, ლიცენზირებისა და სერთიფიცირების საკითხებზე. ჩეხეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო არაკომერციული ორგანიზაციის – მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ შექმნილია რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები (22) და მეწარმეობისა და ინოვაციების ცენტრები (5). რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები წარმოადგენენ კერძო ფირმებს. ისინი გასცემენ მთელ რიგ საბაზრო მომსახურებას: საცნობარო-ანალიტიკური მომსახურებას, იურიდიულ და საგადასახადო კონსულტირებას, საბუღალტრო აღრიცხვას, დოკუმენტების მომზადებას საბანკო სესხის მისაღებად და სხვ. მეწარმეობისა და ინოვაციების ცენტრები მომსახურების ფართო სპექტრში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ მცირე და საშუალო საწარმოებზე, სამრეწველო საწარმოების მხარდაჭერაზე. ისრაელში მცირე მეწარმეობის განვითარების ცენტრები ფუნქციონირებენ როგორც დამოუკიდებელი თვითფინასირებადი სტრუქტურები, რომლებიც კომპლექსურ მომსახურებას გასცემენ მოქმედ და დამწყებ მეწარმეებზე. მათი უმრავლესობა რეგიონებში ფუნქციონირებს და თანამშრომლობენ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანიზაციებთან. ცენტრების

ამოცანაა დაეხმარონ მეწარმეებს საწარმოთა შექმნასა და გაფართოებაში, მათ მართვაში, გაკოტრებისაგან თავის დაღწევაში და ა.შ.. პოლონეთში ფუნქციონირებენ რეგიონალური განვითარების ფონდები, რომელთა ამოცანაა მხარი დაუჭირონ მცირე და საშუალო საწარმოებს შეუწყონ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას. ისინი საწარმოებს სთავაზობენ საკონსულტაციო მომსახურებას, საბანკო სესხებზე გასცემენ გარანტიებს. რუსეთის ფედერაციაში შექმნილია მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის რიგი სტრუქტურები. ესენია: მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის ფედერალური ფონდი, მცირე მეწარმეობის განვითარების ასოციაცია და მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სააგენტო. 1992 წელს მთავრობამ დააფუძნა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სააგენტო, რომელმაც თავის მხრივ შექმნა დაწესებულებების რეგიონალური ქსელი (50-ზე მეტი). რეგიონალური დაწესებულებები განიხილავენ საინვესტიციო პროექტებს, გასწევენ კონსულტირებას ფინანსურ საკითხებზე, განახორციელებენ აუდიტორულ და საბუღალტრო მომსახურებას. რეგიონული დაწესებულებები ეხმარებიან საწარმოებს კონტრაქტებისა და დოკუმენტაციის მომზადებაში, უწევენ მათ სამართლებრივ მხარდაჭერას მოლაპარაკებისა და რეგისტრაციის პროცესში [მესხია ი., ბასარია რ. 2001; 13].

თურქეთში ფუნქციონირებს მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების ორგანიზაცია, რომელიც გასწევს ტექნიკურ, მმართველობით და კონსალტინგურ მომსახურებას. კონკრეტულ ფუნქციებს ასრულებენ განვითარების ცენტრები, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეობის თურქეთის ფონდი. აქ შექმნილია ფართო ქსელი, რომელშიც შედის 1500 რეგისტრირებული წევრი, 17 მხარდამჭერი ასოციაცია და ორი განყოფილება. მათი მეშვეობით ხორციელდება საწარმოთა მრავალმხრივი ხელშეწყობის ღონისძიებები. ამერიკის შეერთებულ შტატებში მცირე საწარმოთა ხელშეწყობის მიზნით შექმნილია მცირე ბიზნესის სამმართველო (ადმინისტრაცია). რომელსაც გააჩნია მცირე მეწარმეობის განვითარების ცენტრები,

რომლებიც მოქმედ და პრიორიტეტულ საწარმოებს ეხმარებიან კომპლექსურად ინფორმაციის მიწოდებით და რეკომენდაციებით. [მესხია ი.,2011].

გერმანიაში საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებას გასწევენ უმთავრესად სავაჭრო-სამრეწველო პალატები. პალატების წევრობა სავალდებულოა ყველა კომერციული კომპანიისათვის. პალატები მომსახურებას გასწევენ უსასყიდლოდ. [ე. გობეჯიშვილი, 2013].

ბიზნესის, მათ შორის, მცირე ბიზნესის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს საწარმოს რეგისტრაციის, ფუნქციონირების, ანგარიშგების და საქმის წარმოების ღირებულება წარმოადგენს. იგი გარკვეულ ადმინისტრაციულ პროცედურებთანაა დაკავშირებული, რომელიც რამდენიმე ტიპად შეიძლება დაიყოს. ასეთი სახის სავალდებულო პროცედურებს ევროკავშირის ქვეყნებში, ადმინისტრაციულ ბარიერები ეწოდებათ. მათ მიეკუთვნება:

1. პროცედურები, რომლებიც განსახორციელებელია სპეციალური კანონმდებლობის არარსებობის შემთხვევაშიც, მაგალითად წლიური ანგარიშები. აღსანიშნავია, რომ სათანადო კანონმდებლობის არარსებობის შემთხვევაში აღნიშნული პროცედურები უნდა შესრულდეს მარტივად, ანდა ნაკლები სიხშირით.
2. პროცედურები, რომლებიც საწარმომ არ უნდა განახორციელოს, თუ ამას შესაბამისი კანონმდებლობა არ მოითხოვს. ეს ემსახურება სახელმწიფო ორგანოების ან საზოგადოების საინფორმაციო უზრუნველყოფას.

უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული ბარიერები აფერხებენ მცირე ბიზნესის განვითარებას, დასაქმების და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდას. ამიტომ განვითარებულ ქვეყნებში ცდილობენ მაქსიმალურად შემცირდეს ასეთი ტიპის ადმინისტრაციული ტვირთი. ადმინისტრაციული ბარიერები გარკვეულ დამატებით ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. კერძოდ:

1. იმ თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურება, რომლებიც დაკავებულნი არიან კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვებით, დამუშავებით და გადაცემით;

2. იმ მოწყობილობების (კომპიუტერი, ქსეროქსი და სხვა) ღირებულება, რომლებიც საჭიროა კანონმდებლობის მოთხოვნების შესასრულებლად;
3. კონსულტანტების შრომის ანაზღაურებისა და აუცილებელი დახმარების ღირებულება და ა.შ [ე. გობეჯიშვილი, 2013].

აუცილებელი ადმინისტრაციული ხარჯები ყველაზე მეტად მცირე საწარმოებს აწვება. ადმინისტრაციული ხარჯები სერიოზულ ზეგავლენას ახდენს მცირე ბიზნესის განვითარებაზე. ევროკომისიის სტატისტიკური მონაცემებით, მინიმალური დრო, რომელიც საჭიროა ერთპიროვნული მფლობელობის კომპანიის რეგისტრაციისათვის 1-2 სამუშაო დღეა ბელგიაში, გერმანიაში, საბერძნეთში, ესპანეთში, იტალიაში, ნიდერლანდებში, ავსტრიაში და გაერთიანებულ სამეფოში. მინიმალური სარეგისტრაციო ღირებულება ამგვარი ტიპის ფირმებისათვის – 100 ევროზე ნაკლებია.

ამხანაგობების რეგისტრაციაც გარკვეულწილად განსხვავებულია დროსა და ფასში. მაგალითად, ამხანაგობების რეგისტრაცია უფასოა დანიაში, ხოლო საფრანგეთში, ირლანდიაში, პორტუგალიაში, ფინეთსა და გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრაციის ღირებულება 500 ევროზე ნაკლებია, ხოლო მინიმალური კაპიტალი, რომელიც საჭიროა ასეთი კომპანიის რეგისტრაციისათვის მერყეობს 1 ევროდან ირლანდიაში, 23 500 ევრომდე გაერთიანებულ სამეფოში [მესხია ი., 2011].

განვითარებულ ქვეყნებში თვლიან, რომ საგადასახადო სისტემა იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ ხელი ეწყობოდეს ბიზნესის წარმატებულ განვითარებას, ახალი საწარმოების შექმნას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. მცირე და საშუალო საწარმოების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მთავარ მიზნებს ერთიანი შიდა ბაზრის გამყარება, ადმინისტარციული ბარიერების გაუქმება, საკანონმდებლო ბაზის უნიფიკაცია და სხვა წარმოადგენს.

ევროკავშირის პოლიტიკა მსს-თა მიმართ იყენებს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მიდგომას.

ვერტიკალური მიდგომა გამოიხატება იმ ღონისძიებებში, რომლებიც ორიენტირებულია უშუალოდ მცირე და საშუალო საწარმოებზე (მეწარმეობასთან, კომერციასთან, ტურიზმთან, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროსთან დაკავშირებული პოლიტიკა).

ჰორიზონტალური მიდგომა გულისხმობს მცირე და საშუალო საწარმოების ინტერესების დაცვას ევროკავშირის საქმიანობის სხვა სფეროებში.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება მცირე ბიზნესის დაბეგვრასთან დაკავშირებით შემდეგია:

გაერთიანებულ სამეფოში მცირე საწარმოები ექვემდებარებიან შემოსავლების დეკლარირებისა და გამოანგარიშების იგივე წესებს, რომლებსაც სხვა გადასახადების გადამხდელები. კანონმდებლობით, თუ საწარმოს წლიური შემოსავალი 15 ათას ფუნტ სტერლინგზე ნაკლებია, მაშინ იგი მხოლოდ მარტივ საგადასახადო დეკლარაციას ავსებს. თუ საწარმოს საერთო ვალდებულებები ერთი წლის განმავლობაში 500 ფუნტ სტერლინგზე ნაკლებია, იგი განთავისუფლებულია საავანსო გადასახადებისაგან. საწარმო იხდის მხოლოდ იმას, რაც მას ბალანსის დახურვისას ეკუთვნის. ზემოაღნიშნული ზრდის საწარმოს საბრუნავ სახსრებს.

ქვეყანაში მოქმედებს საშემოსავლო გადასახადების პროგრესული სისტემა. განაკვეთები შემდეგნაირად ნაწილდება:

1. 10% - ფიზიკური პირები და ამხანაგობები, რომელთა თვიური შემოსავალი 1520 ფუნტ სტერლინგამდეა;
2. 22% - თუ შემოსავალი 1521 – 28400 ფუნტი სტერლინგის ფარგლებში მერყეობს;
3. 40% - თუ შემოსავალი 28 400 ფუნტ სტერლინგზე მეტია. ანალოგიური სისტემა მოქმედებს კორპორაციებისთვისაც, ანუ 10% - თუ თვიური შემოსავალი 10 000 ფუნტ სტერლინგამდეა;
4. 20% - თუ შემოსავალი 10 001 – 50 000 ფუნტი სტერლინგის ფარგლებში მერყეობს [ე. გობეჯიშვილი, 2013];

მცირე საწარმოებისათვის დადგენილია შენობებისა და დანადგარების ამორტიზაციის განსაკუთრებული წესები, რომლებიც ქონების ღირებულების 25%-ის ჩამოწერის საშუალებას იძლევა. მცირე საწარმოს შეუძლია დასაბეგრი ბაზიდან გამოქვითოს ახალი შენობის და დანადგარის ღირებულების 40%. ასეთი შეღავათის მიღებისათვის საწარმომ უნდა დააკმაყოფილოს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ორი მაინც:

1. საწარმოს წლიური ბრუნვა არ უნდა აღემატებოდეს 11,2 მლნ. ფუნტ სტერლინგს;
2. აქტივების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 5,6 მლნ. ფუნტ სტერლინგს;
3. დასაქმებულთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 250 კაცს.

მცირე საწარმოებს შეუძლიათ ჩამოწერონ თანხების 100% თუ ისინი მაღალტექნოლოგიური პროდუქციის შეძენისათვისაა მიმართული. ასეთი უფლების მოსაპოვებლად საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილი ორ პირობას მაინც:

1. საწარმოს წლიური ბრუნვა არ უნდა აღემატებოდეს 2,8 მლნ. ფუნტ სტერლინგს;
2. აქტივების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 2,8 მლნ. ფუნტ სტერლინგს;
3. დასაქმებულთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50 კაცს.

აშშ-ში კანონმდებლობით არაა გათვალისწინებული მცირე საწარმოებისათვის განსაკუთრებული საგადასახადო რეჟიმი. ყველა საწარმო ვალდებულია აწარმოოს სრული საბუღალტრო აღრიცხვა, რათა ზუსტად იქნას გაანგარიშებული ყველა გადასახადი.

კანონმდებლობაში გათვალისწინებულია სპეციალური დებულებები, რომლებიც აღრიცხვისა და ანგარიშგების პროცედურების გამარტივების საშუალებას იძლევა, რაც მცირე ბიზნესში ინვესტიციების მოზიდვას და სტიმულირებას უწყობს ხელს.

აშშ-ში მცირე საწამოები განთავისუფლებული არიან იმ გადასახადისაგან, რომლითაც იბეგრება კაპიტალის ნამატი (ანუ შემოსავალი, რომელსაც ფიზიკური პირები იღებენ აქციების გაყიდვის შედეგად).

საფრანგეთში ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს გამარტივებული და დროებითი გადასახადების რეჟიმს ძალიან მცირე საწარმოებისათვის. ამ საწარმოებს არ ევალებათ საგადასახადო ორგანოებში დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციის წარდგენა და მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს იხდიან, რომლის მოცულობაც ფირმის საქმიანობის სფეროზეა დამოკიდებული. მცირე საწარმოებში მხოლოდ შესყიდვების და ფინანსური შემოსავლების აღრიცხვას ახორციელებენ.

გამარტივებული საგადასახადო რეჟიმი საგადასახადო ორგანოებში ბალანსის ძირითადი მონაცემების, ძირითადი ფონდების, ინვესტიციების მოცულობისა და საქმიანობის ფინანსური შედეგების წარდგენას ითვალისწინებს.

ნიდერლანდებში მცირე საწარმოები შემოსავლების დეკლარირებისა და გამოანგარიშების ჩვეულებრივ წესებს ექვემდებარებიან, მაგრამ გარკვეული განსხვავებები არსებობს. კანონმდებლობის თანახმად, საშემოსავლო გადასახადის დასაბეგრი ბაზა მცირდება კაპიტალურ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების სიდიდის მიხედვით. მთავრობა მხარს უჭერს საწარმოების აქტივობას სამეცნიერო კვლევების მიმართულებით. თუ მცირე საწარმო სამუშაოდ იღებს პიროვნებას სამეცნიერო და კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად, იგი მოიპოვებს უფლებას, შეამციროს გადასახადი ხელფასის ფონდზე. საგადასახადო შეღავათების განსაკუთრებული რეჟიმი უწესდებათ ახალშექმნილ საწარმოებს.

შვედეთის კანონმდებლობა მცირე საწარმოებისათვის განსაკუთრებულ საგადასახადო რეჟიმს არ ითვალისწინებს. საგადასახადო კანონმდებლობა ნეიტრალურობის პრინციპს ეფუძნება, რის საფუძველზეც, ყველა საწარმოს მიმართ მათი იურიდიული ფორმის, საქმიანობის ტიპის, ზომის ან ადგილმდებარეობის მიუხედავად, ერთი და იგივე საგადასახადო რეჟიმი და საგადასახადო განაკვეთები გამოიყენება.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო მხარს უჭერს ზრდის პოტენციალის მქონე საწარმოებს რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ მოსახლეობის დამატებითი დასაქმება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგების წარმოებაში დანერგვა და ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა. მცირე ბიზნესის მოწყობისა და ფუნქციონირების პრინციპები, მხარდაჭერის ფორმები და მეთოდები ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით განსხვავებულია. თვალსაჩიანოებისამებრ საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში (იხ. ცხრილი 1).

	ქვეყანა	მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა (მლნ ერთეული)	მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა 1000 კაცზე	მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა (მლნ. კაცი)
1	გაერთიანებული სამეფო	2,63	46	13,6
2	გერმანია	2,29	37	18,5
3	იტალია	3,92	68	16,8
4	საფრანგეთი	1,98	35	15,2
5	ევროკავშირი	5,77	45	68,0
6	აშშ	19,3	74,2	70,2
7	იაპონია	6,45	49,6	39,5
8	რუსეთი	0,84	5,65	8,3

ცხრილი 2. მცირე და საშუალო საწამოების მახასიათებლები განვითარებულ ქვეყნებში [12].

2.2. მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის ფორმები და მექანიზმები

ქვეყანაში მიმდინარე მაკროეკონომიკური რეფორმები მიმართულია იმ ურთიერთობათა სისტემის, ინსტრუმენტებისა და ფინანსური მექანიზმების დამკვიდრებისაკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოების რეალურ ფინანსურ მომსახურებას, რაც მოითხოვს საკრედიტო სისტემის და მეწარმეთა ფინანსური მხარდაჭერის სისტემის ძირეული გარდაქმნა.

მცირე საწარმოებისათვის ფინანური რესურსების ნაკლებად ხელმისაწვდომობის ძირითადი მიზეზებია:

- კრედიტის აუცილებელი უზრუნველყოფის უქონლობა;
- სასესხო პროცენტის მაღალი განაკვეთები;
- გრძელვადიანი კრედიტების დაბალი ხვედრითი წილი;
- გარანტიებისა და გირაოს უქონლობა;
- სპეციალისტების დეფიციტი;
- მცირე საწარმოების ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის დაბალი დონე;
- ბიზნეს-გეგმების დაბალი ხარისხი;
- აუცილებელი საბაზრო პირობების არარსებობა;
- პროექტების დაბალი ეფექტიანობა და ა.შ.

შექმნილ სიტუაციაში ბანკები ცდილობენ სარისკო კრედიტების მოცულობის შემცირებას და უზრუნველყონ საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობა. თუმცა ეს პოზიცია არ არის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საკრედიტო რესურსების დეფიციტის ერთადერთი წყარო. საჭიროა პრობლემისადმი კომპლექური მიდგომა, რაც გულისხმობს დაფინანსება-დაკრედიტების ახალი პოლიტიკური პრინციპებისა და რეკომანდაციების შემუშავებას [მესხია, ხმალაძე, 2007].

პირველ რიგში უნდა გატარდეს ფინანსური მომსახურების სექტორის ჩამოყალიბებისა და საფინანსო წყაროების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად პოლიტიკური ზომები. რაც გულისხმობს გრძელვადიანი ინსტიტუტებისა და ინფრასტრუქტურის შექმნას, საბანკო სისტემის განმტკიცებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, კანონების აღსრულების ეფექტიან სისტემას, რათა გადაწყდეს გაკოტრების, რეგისტრაციის პროცედურის გამარტივების, სალიზინგო კანონმდებლობის შემოღების და სხვა პრობლემები. უნდა მოხდეს სწორი პოლიტიკური მიდგომების შერჩევა, ნორმატიულ-სამართლებრივი პირობების და დაკრედიტების მიზნობრივი პროგრამების ოპტიმალური შეხამების მიზნით.

– არასრულყოფილი ფინანსური ბაზრების პირობებში გამოყენებული უნდა იქნას მსს-თა სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები. ამასთან, სახელმწიფო დაფინანსების დროს ზუსტად უნდა განისაზღვროს პროექტების შეფასებისა და შერჩევის საიმედო კრიტერიუმები.

– მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური ხელშეწყობის სრულყოფის მნიშვნელოვანი პრობლემაა მისი ინფრასტრუქტურის ძირითადი კომპონენტების ჩამოყალიბება და განვითარება. მათ შორის აღსანიშნავია: სარისკო (ვენჩურული) კაპიტალი, ლიზინგი, კრედიტუნარიანობა, ბანკის მუშაკთა მომზადება მცირე საწარმოებთან მუშაობის კუთხით, საწარმოთა მუშაკების სწავლება, კონსალტინგი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების დროს რისკის, და რაც დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია-საგარანტიო მოთხოვნის შემცირება შეუძლებელია საკრედიტო-საინფორმაციო მომსახურების დონის ამაღლების გარეშე. რისთვისაც საჭიროა წავახალისოთ საწარმოთა კრედიტუნარიანობის შემსწავლელი და სხვა საკრედიტო ინფორმაციის მომწოდებელი სააგენტოების შექმნა და განვითარება.

ყურადსაღებია განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა ვენჩურული კაპიტალის ფონდების მუშაობის კუთხით.

საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობა მოითხოვს მსბ-ის წარმომადგენელთა სათანადო სწავლებასა და კონსალტინგს შემდეგ ძირითად საკითხებზე: ბიზნეს-გეგმების მომზადება და მათი შეფასება; საწარმოთა ვალდებულებების შესრულება და სამართლებრივი რეგულირება (აუდიტის ჩატარების პრაქტიკა, კორპორაციული სამართალი და ა.შ); პროფესიული სწავლება კაპიტალის მოზიდვის რიგ პრაქტიკულ საკითხებზე.

– შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და პროგრამებში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ფინანსური ინსტრუმენტების ჩამოყალიბებამ ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე. უნდა დამუშავდეს ხელშეწყობის ადგილობრივი პროგრამები. ამით გაიზრდება ადგილობრივი ბანკების მცირე ბიზნესისადმი მომსახურების ქმედითუნარიანობა.

მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის მიერ მსს-თა ფინანსური ხელშეწყობა განხორციელდება შესაბამისი პროგრამის საფუძველზე. პროგრამით უნდა დადგინდეს სახსრების წყაროები, შემუშავდესსახსრების მოზიდვისა და აკუმულირების მექანიზმი, განისაზღვროს ფინანსური რესურსების მცირე და საშუალო საწარმოებზე გამოყოფის ფორმები და მეთოდები.

პროგრამაში უნდა დაზუსტდეს საფინანსო რესურსების მოცულობა და მიღების ვადები შემდეგი წყაროების მიხედვით:

- სახელმწიფო დაფინანსება, მათ შორის სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან შემოსული სახსრები;
- საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
- საგარეო წყაროები, როგორიცაა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტები, გრანტები და სხვა [ე. გობეჯიშვილი, 2013].

უახლოეს მომავალში უნდა გადაწყდეს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური მხარდაჭერისათვის საგარანტიო ფონდის დაფუძნების საკითხი (მსს-თა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის მონაწილეობით). რომელიც,

პასუხისმგებელი იქნება, ხელი შეუწყოს ინდუსტრიულ ზონებში მცირე და საშუალო სამრეწველო საწარმოებსა და ორგანიზაციების ჩამოყალიბებას კრედიტებით.

ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი სალინზინგო ოპერაციების დანერგვას. აღსანიშნავია, რომ წარმოადგენს რა სასტარტო კაპიტალის, შეიძლება ითქვას, ერთადერთ წყაროს, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ბევრ ქვეყანაში ლიზინგმა გადამწყვეტი როლი შეასრულა მცირე ბიზნესის განვითარების საქმეში.

მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის საკრედიტო-ფინანსური მექანიზმების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, შეიქმნას ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო. მცირე და საშუალო ბიზნესი უნდა მივიჩნიოთ ქვეყანაში საინვესტიციო აქტიურობის ამაღლებისა და ეკონომიკური განვითარების მუდმივ ფაქტორად.

ლიზინგი არასაბანკო სფეროში ერთ-ერთი ყველაზე ახალი და პერსპექტიული მიმართულებაა, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესში დაკავებული კომპანიებისათვის მომსახურებას ითვალისწინებს.

უპირატესობები, რომლებიც სალიზინგო ბიზნესს გააჩნდა, სწრაფად გამოიყენეს და დანერგეს საწარმოო ხაზებისა და დანადგარების მწარმოებელმა დიდმა კომპანიებმა, რომლებმაც შექმნეს სალიზინგო მომსახურების სტრუქტურები. წარმოებელი პროდუქციის სალიზინგო ოპერაციებით რეალიზაცია, ერთი მხრივ ზრდიდა რეალიზაციის მაჩვენებლებს და მეორე მხრივ, ხელს უწყობდა იმ დროისთვის თანამედროვე საწარმოო ხაზებით უზრუნველყოფას ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში.

საერთაშორისო სალიზინგო ბაზარზე ყველაზე დიდი მოცულობის პორტფელი საავიაციო ტრანსპორტის სფეროში მომუშავე წამყვან სალიზინგო კომპანიებს აქვთ. ავიაციის სფეროში თვითმფრინავების შეძენა უმრავლეს შემთხვევებში სწორედ სალიზინგო ოპერაციების საშუალებით ხორციელდება.

ფინანსური ლიზინგი განიხილება როგორც კაპიტალდაბანდებათა დაფინანსების სპეციფიური ფორმა. იგი ტრადიციული საბანკო დაკრედიტებისაგან განსხვავებით საშუალებას აძლევს საწარმოებს მიიღონ აუცილებელი ძირითადი

საშუალებები ერთდროული დანახარჯების გაღების გარეშე [ე. გობეჯიშვილი, 2013].

ფინანსური ლიზინგის დროს საიჯარო ხელშეკრულება ითვალისწინებს ძირითად საშუალებაზე საამორტიზაციო ღირებულების მთლიანად ან ძირითადი ნაწილის გადახდას, რომლის შემდეგ ეს ქონება რჩება დამქირავებლის საკუთრებაში.

ფინანსური ლიზინგი უაღესად ხელსაყრელია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რამდენადაც მასში გაითვალისწინება მოიჯარის საქმიანობის ხასიათის თავისებურებები (სეზონურობა, ციკლურობა და ა.შ.), ზრდის მის ოპერაციათა დაფინანსების მოცულობას, აძლევს მნიშვნელოვან საგადასახადო უპირატესობებს.

მცირე და საშუალო საწარმოებისადმი ხელშეწყობის ფორმად წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული აგრეთვე ოპერატიული ლიზინგი.

ვფიქრობთ, ლიზინგი, მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს საქართველოში საწარმოთა ფინანსური ხელშეწყობის უმთავრეს-საკრედიტო რისკის პრობლემას. ლიზინგური და დაზღვევის ოპერაციების ერთდროული კომბინირებული გამოყენებით შეიქმნება ინვესტორის, დამზღვევი კომპანიებისა და მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მიმზიდველი საინვესტიციო პირობები.

თავი 3. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითრებისა და სახელმწიფო მხარდაჭერის მდგომარეობა საქართველოში

3.1. Mმცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა საქართველოში

საქართველოში მცირე საწარმოთა განვითარების ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო სისტემის ჩამოყალიბება 1990-იანი წლების ბოლოს დაიწყო, რასაც საფუძვლად დაედო წარმატებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესის ხელშეწყობის გამოცდილება და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მექანიზმები. 1990-ანი წლებიდან პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სწრაფი ტემპებით დაიწყო საზოგადოებრივი ურთიერთობების ტრანსფორმაციის პროცესების განვითარება, გაჩნდა საკუთრების ახალი ფორმები და შეიცვალა სოციალური სტრუქტურა.

საზოგადოებრივი ცვლილებები შეეხო ცხოვრების ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, ფსიქოლოგიურ და ზნეობრივ საკითხებს. საკუთრების განსახელმწიფოებრიობის შედეგად ჩამოყალიბდა საკუთრების განსხვავებული ფორმები კერძო, სახელმწიფო, კოლექტიური. თავდაპირველად შეიმჩნეოდა წარმოების ვარდნა, გაიზარდა უმუშევრობა, გაუარესდა ცხოვრების დონე. ამ პირობებში განვითარება დაიწყო მცირე ბიზნესმა, როგორც საზოგადოებრივი წარმოების განსაკუთრებულმა სფერომ. მცირე ბიზნესის წინსვლამ ჩაუყარა საფუძველი ეკონომიკის ეფექტიან განვითარებია და მიგვიყვანა საკუთრების ახალი ფორმების შექმნამდე. სწორედ მცირე ბიზნესის, როგორც საზოგადოებრივი წარმოების განსაკუთრებული ფორმის შექმნა, წარმოადგენს ახალი ეკონომიკური და სოციალური გარემოს ფორმირების წინაპირობას.

მცირე ბიზნესს შეუძლია გამოიყენოს მეცნიერებატევადი პროგრესული ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ თანამედროვე მეცნიერების მიღწევების გამოყენებას. სწორი პოლიტიკური ნაბიჯი გადაიდგა მთავრობის მიერ როდესაც, 1999 წელს მიღებულ იქნა კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავდა მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ძირითად პრინციპებს. შეიქმნა მცირე საწარმოთა საკოორდინაციო საბჭო, ჩამოყალიბდა მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი, რომლის ფუნქციას წარმოადგენდა, მცირე საწარმოთა ხელშეწყობის ღონისძიებებისა და სპეციალური დახმარების პროგრამების განხორციელება.

1999 წელს მიღებულ კანონს, 2002 წელს გადაერქვა სახელი და ეწოდა „მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ კანონი. სამთავრობო დახმარების კონცეფციისა და სპეციალური პროგრამის განხორციელების შედეგად მცირე და საშუალო საწარმოთა აქტივობების ზრდის პროცესი გაუმჯობესდა.

ვარდების რევოლუციის შემდგომ, ქვეყნის ეკონომიკამ განვითარების ახალ გზას დაადგა, დაიწყო ეკონომიკური პოლიტიკის რეგულირების რეფორმები და ინფრასტრუქტურის განვითარება. ამ პერიოდში დაიწყო კანონების განახლება, განმტკიცდა საბიუჯეტო-ფინანსური დისციპლინა, შემუშავებულ და განხორციელებულ იქნა კორუფციასთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა,რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბიზნეს გარემოს მოდერნიზაციის პროცესს. საწარმოთა რეგისტრაციისა და საქმიანობის დაწყებასთან დაკავშირებული პროცედურები. შემცირდა საგადასახადო ტვირთი, კერძოდ 2005 წელს ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების შედეგად 21 გადასახადიდან გააუქმდა 12, სამართლიანი კონკურენციის სტიმულირებისათვის საქონლისა და მომსახურების გარკვეულ ნაწილზე შემცირდა დღგ. გაფართოვდა ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა საბანკო სესხების მიღმა. საგადასახადო სისტემაზე 2011 წელს განხორციელდა დამატებითი ცვლილებები. ამასთან 2009 წელს საგადასახადო სისტემაში განხორციელებულმა ცვლილებებმა გაამარტივა საგადასახო სისტემა და გადასახები ექვსამდე შემცირდა.

უკანასკნელ წლებში გატარებულმა რეფორმებმა სათანადო ასახვა ჰპოვეს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებულ პოზიტიურ შეფასებებში, რომლებიც ძირითადად დაეფუძნა ახალი კანონებისა და საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზს. ამავე დროს მკვეთრად გაუარესდა საკანონმდებლო და რეგულაციური გარემო მცირე და საშუალო ბიზნესთან მიმართებაში. გაუქმებულ იქნა კანონი „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ“ და ის სამთავრობო გადაწყვეტილებები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების

სახელმწიფო ხელშეწყობას. ხელისუფლების მიერ დეკლარირებულ იქნა ლიბერალური ეკონომიკური კურსი, რომლის თანახმად ეკონომიკის ყველა სექტორი იმართება მხოლოდ თავისუფალი საბაზრო კანონებით, სახელმწიფო არ გამოყოფს პრიორიტეტულ სექტორს და აწესებს ყველა საწარმოსათვის დაბეგვრის ერთნაირ რეჟიმს. გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის კურსისა და თანაბარი საგადასახადო რეჟიმის პირობებში მცირე მეწარმეობამ ვერ გაუწია კონკურენცია მსხვილ ბიზნესს და მისი წილი ღირებულებათა შექმნილ მთლიან ჯაჭვში თანდათანობით შემცირდა. ამის შედეგად გაიზარდა რეგისტრირებულ ახალ საწარმოთა რაოდენობა, თუმცა აღნიშნულს გამოშვებული პროდუქციის მაჩვენებელში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გამოუწვევია. კანონი „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ“ გაუქმების შემდეგ განსაზღვრებები მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ გადატანილ იქნა კანონში „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“.

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კოდექსში წარმოდგენილი მცირე ბიზნესის განსაზღვრებები წინააღმდეგობაში მოდის „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს“ კანონში მოცემულ განსაზღვრებასთან. აზრით მცირე ბიზნესის შემოსავლის ზღვარის 500,000 ლ – 100,000 ლ-მდე დაწევის შედეგად შემცირდება მისი წილი მ.შ.პ-ში, რომელიც ამჟამად 7-8% ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება მიკრო ბიზნესს ამ სტატუსის შემოღებაში პრაქტიკულად არ არის ინოვაცია, რადგან ამ კატეგორიის მეწარმეები გადასახადებს ისედაც არ იხდიდნენ. ამჟამად სტატისტიკის დეპარტამენტი გვთავაზობს მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის განმარტების ახალ მეთოდოლოგიას. 2017 წლიდან საწარმოთა ზომის განსაზღვრის შემდეგი მეთოდოლოგია მოქმედებს: მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნლარს.

საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა

საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე.

მცირე ზომი სსაწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნლარს [www.gwostat.ge].

ზემოთქმულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მიღებულ იქნას კანონი „მცირე ბიზნესის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს მცირე ბიზნესის რეალურ სტატუსს და დაარეგულირებს მასთან დაკავშირებულ ყველა სამართლებრივ საკითხებს.

დღეს საქართველო აქტიურად მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის მცირე და საშუალო ბიზნესის პანელში და თანამშრომლობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD), ევროპული განათლების ფონდთან (ETF), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის საუკეთესო საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის მიხედვით გაუმჯობესების მიზნით.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება რიგი მცირე და საშუალო მეწარმეობაზე ორიენტირებული პროექტები. მეწარმეობის ზრდის პროგრამის (EGP) და ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურების (BAS) პროგრამების (ევროკავშირის მხარდაჭერით) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება EBRD-ის მიერ, 800-ზე მეტ მცირე და საშუალო მეწარმეს გაეწია მხარდაჭერა. საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის East-Invest პროექტში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა.

2015 წელს, ხელი მოეწერა ევროკავშირის დახმარების პროექტს, რომელიც ითვალისწინებს DCFTA-ის და მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერას (ბიუჯეტი - 44.5 მილიონი ევრო). პროექტის მიზანია:

ა) DCFTA-ს პოლიტიკის ჩარჩოს შემდგომი გაძლიერება და მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა;

ბ) ვაჭრობასთან და კერძო სექტორთან დაკავშირებული ინსტიტუციების გაძლიერება და

გ) ეკონომიკური აგენტების და მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერება DCFTA-ის პროცესების პარალელურად [ ].

„მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში“: ევროკავშირის მიმდინარე პროექტი, რომლის ძირითადი მიზანია მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში. ამ პროგრამის ფარგლებში OECD-იმ დაიწყო პროექტი „გარემოსთვის მისაღები ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა მცირე და საშუალო საწარმოებში“, რომლის მთავარი მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა, სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის და ასევე ბიზნესებს შორის დიალოგის ხელშეწყობა „მდგრადი“ წარმოების განვითარების მიზნით.

საქართველოს მთავრობა მჭიდროდ თანამშრომლობს ბიზნეს სექტორთან და დაინტერესებულ მხარეებთან კანონმდებლობის შემუშავების კუთხით. ასოცირების შეთანხმების და DCFTA-ს ცნობადობის ამაღლების მიზნით იმართება რეგულარული შეხვედრები და კონფერენციები, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. შემუშავებული და დამტკიცებულია ასოცირების შეთანხმების და DCFTA-ს სამოქმედო გეგმები, რომელიც სხვა დანარჩენთან ერთად ითვალისწინებს შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმების შესრულებას, საინფორმაციო კამპანიებს და სხვა. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია, რომელიც 2016 – 2020 წლებზეა გათვლილი.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელება ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ზრდას და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რაც მნიშვნელოვანია როგორც დასაქმების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ასევე,

ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ადგილის დამკვიდრებისთვის [http://topnews.mediamall.ge].

ზოგადი სურათისათვის დანართი 1 სახით მოცემულია ბიზნეს სექტორის მდგომარეობა 2007 წლიდან 2018 წლის ჩათვლით.

3.2. ინოვაციური მეწარმეობის განვითარების გზები და პერსპექტივები

ამჟამად საქართველოში ადგილი აქვს ინოვაციურ კრიზისს, რომელიც დაიწყო ჯერ-კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. კრიზისი გამოვლინდა შექმნილი და წარმოებაში დანერგილი ახალი ტექნიკის რაოდენობის შემცირებაში, რამაც სტიმული მისცა რიგი ნეგატიური ტენდენციების ჩამოყალიბებას. მკვეთრად დაეცა სამრეწველო პროდუქციის, განსაკუთრებით მზა ნაწარმის კონკურენტუნარიანობა. ღია ეკონომიკის პირობებში სამრეწველო პროდუქციამ იწყო კლება არამარტო საგარეო, არამედ შიდა ბაზარზეც. პრაქტიკულად შეწყდა მანქანების, მოწყობილობებისა და სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტი. მზა პროდუქციის შიდა ბაზარზე ადგილი დაიმკვიდრეს საზღვარგარეთულმა მონოპოლიებმა. ეკონომიკის მაღალტექნოლოგიურმა სექტორმა უნარი განახორციელოს არათუ გაფართოებული, არამედ მარტივი კვლავწარმოება, ტექნიკური რეკონსტრუქცია და საწარმოო აპარატის განახლება საკუთარ ტექნოლოგიურ ბაზაზე, სამომხმარებლო ბაზრის გაჯერება სამამულო წარმოების საქონლით [28].

მნიშვნელოვანია გამოვყოთ ინოვაციური კრიზისის რამოდენიმე ობიექტური და სუბიექტური მიზეზი:

– საქართველოს ეკონომიკაში, ჭარბობდა და დღესაც ჭარბობს მორალურად და ფიზიკურად მოძველებული ტექნოლოგიები, რომლებიც ექვემდებარებიან, რადგან ვერ პასუხობენ კვლავწარმოების თანამედროვე მოთხოვნებს. მსოფლიოში მიმდინარე თვისებრივად ახალ ტექნოლოგიურ სისტემებზე გადასვლის ფონზე, საქართველოში პირიქით, ადგილი აქვს გასული საუკუნის 90-იან წლებში არსებული ტექნოლოგიური დონის დაქვეითებას;

– შეიზღუდა ინოვაციური შესაძლებლობები, რაც გამოწვეული იყო ტრადიციული საწარმოო-ტექნოლოგიური კავშირების მოშლით, ბაზრის მასშტაბების შემცირებით, წარმოებისა და ინვესტიციების მკვეთრი დაცემით, ინფლაციის მაღალმა ტემპებმა და სხვ. ფაქტორებით.

– ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა. სათანადო მხარდაჭერა არ აქვთ ახალი ტექნიკის შემმუშავებელ და ამთვისებელ საწარმოებს. კერძო სექტორის რესურსები არ მიიმართება ინვესტიციებსა და ინოვაციებზე საგადასახადო სისტემის მოუქნელობისა და სხვ. ნაკლებ შორსმჭვრეტელი ღონისძიებების გამო;

– საზღვარგარეთული მონოპოლიები და ტრანსნაციონალური კორპორაციები გაბატონებულნი არიან სამრეწველო საქონლისა და მნიშვნელოვანწილად სურსათის ბაზარზე, რაც ქვეყნის ეკონომიკას მათზე დამოკიდებულს ხდის;

– იმყოფება რა ეკონომიკური კრიზისის ზღვარზე, საბიუჯეტო დეფიციტისა და მზარდი შიდა და საგარეო ვალის პირობებში, სახელმწიფო ძალაუნებურად ემიჯნება პერსპექტიულ ინვესტიციურ-ინოვაციურ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი;

– სამეურნეო ხელმძღვანელი კადრების არაკომპეტენტურობა, რაც ხელს უშლის ეფექტინად განახორციელონ საქმიანობა ინოვაციურ-ინვესტიციურ ბაზარზე. პრაქტიკულად არ წარმოებს მოცემული სფეროს მენეჯერთა მომზადება, რომლის გარეშეც შეუძლებელია ბაზრის ამ ურთულეს სეგმენტზე წარმატების მიღწევა.

ზემაღნიშნულის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში შეინიშნება გარკვეული წანამძღვრები ინოვაციური მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის. ინოვაციებისადმი მხარდამჭერი პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა კონკურენტულ ბრძოლაში. აქედან გამომდინარე ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების მიმართულებით პირველი მცდელობები ჩნდება, რათა დაფუძნდეს ტექნოლოგიური ინკუბატორები,

ინოვაციური ცენტრები, ვენჩურული ფონდები, ჩამოყალიბდეს ინოვაციური ინფრასტრუქტურა.

ინოვაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ინოვაციების მეშვეობით ხორციელდება შრომითი საქმიანობის ინტელექტუალიზაცია, მისი მეცნიერებატევადობის ამაღლება; აგრეთვე ფართოვდება წარმოებული საქონლისა და მომსახურების არეალი, უმჯობესდება მათი ხარისხი, რაც ხელს უწყობს ინდივიდთა და საზოგადოების მოთხოვნილებების ზრდას და მათ დაკმაყოფილებას;

ინოვაციები საშუალებას იძლევა წარმოებაში მოზიდულ იქნას ახალი მწარმოებლური ძალები, წარმოებულ იქნას საქონელი და მომსახურება შრომის, მასალების, ენერგიის ნაკლები დანახარჯებით (შრომის ეკონომიის კანონი);

ინოვაციათა კონცენტრაცია ამა თუ იმ სფეროში ხელს უწყობს კვლავწარმოების სტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანას შეცვლილი მოთხოვნილებების სტრუქტურასთან და გარემოს სტრუქტურასთან (პროპორციული განვითარების კანონი);

ინოვაციები აგრეთვე ასტიმულირებენ სამეწარმეო საქმიანობას, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის სფეროში, ახალი საქონლისა და ტექნოლოგიების ძიებისა და ათვისებისაკენ, რათა გაიმარჯვონ კონკურენტულ ბრძოლაში, და დაიკავონ ახალი საბაზრო სეგმენტები.

რეფორმის განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი რესურსი - სამეწარმეო პოტენციალი, ჩავრთოთ ქვეყნის ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ აღორძინებაში. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მეწარმეობის განვითარება ინოვაციურ სფეროში, რამდენადაც ამ სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ბაზაზე ხორციელდება სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქტის გარდაქმნა მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე საქონლად.

იმ პირობებში, როდესაც წარმოების დაცემამ მკვეთრად შეამცირა მსხვილ საწარმოთა მოთხოვნა მაღალ ტექნოლოგიებზე, იზრდება მცირე და საშუალო

საწარმოთა როლი, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი მობილურობითა და უნარით - მოკლე დროში და ნაკლები დანახარჯებით გამოუშვან მეცნიერებატევადი პროდუქცია.

მეწარმეობისათვის ინოვაციურობა იმთავითვეა დამახასიათებელი, წარმოადგენს მის განუყოფელ ნიშანს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეწარმეობა იძენს „სოციალური მოვლენის“ ნიშნებს და განიხილება, როგორც ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი. არსებითად იგი წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების მცირედანახარჯიან სტრატეგიას.

სწორედ, მეწარმეობა გამოდის საზოგადოებრივი წარმოების გადამწყვეტ ფაქტორად მიწასთან, შრომასა და კაპიტალთან ერთად. ინოვაციური მცირე მეწარმეობა - ეს არის სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობის ნაწილი, რომელიც სარგებლობს სახელმწიფო მხარდაჭერით. იგი მსხვილი ორგანიზაციების საქმიანობისაგან განსხვავებით უფრო თავისუფალ ხასიათს ატარებს და მეწარმეთა ინიციატივაზეა დაფუძნებული. იგი ორიენტირებულია შედარებით კერძო და ლოკალური ამოცანების გადაწყვეტაზე, მეცნიერების სახელმწიფო სექტორთან ურთიერთკავშირში.

ეკონომიკის დინამიური ზრდისთვის, აუცილებელია წარმოების ტრადიციული ფაქტორების კვალდაკვალ, ინოვაციებზე და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე ორიენტირებული ეკონომიკური ინიციატივების წახალისება და ამისათვის ქვეყნის შედარებითი უპირატესობების ოპტიმალური გამოყენება. ეს გულისხმობს როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე სუბსიდირების პრინციპებზე დაფუძნებული ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების სათანადო პოლიტიკას. აღნიშნული ამოცანების განხორციელების საშუალებად განიხილება ქვეყანაში **რეგიონული საინოვაციო სისტემის (რსს)** და მისი შემადგენელი კომპონენტების შემდგომი განვითარება [30].

რეგიონული საინოვაციო სისტემა (რსს) რეგიონული განვითარების ახალი მოდელია, რომელიც შეიძლება ქვეყნის დაბალანსებული და დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების ახალ ინსტრუმენტად იქცეს. განასხვავებენ ეროვნულ,

რეგიონულ და გლობალურ საინოვაციო სისტემებს. არსებითად, რეგიონული საინოვაციო სისტემა წარმოადგენს-რეგიონის შედარებითი უპირატესობების ნიშნით, სამეწარმეო სუბიექტებისა და სხვადასხვა ინსტიტუციების თანამშრომლობის მოდელს, რომლის უმთავრესი მიზანი მოცემულ რეგიონში არსებული ფიზიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის, ბუნებრივი და სხვა მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენება-განვითარება და ამის საფუძველზე, ინოვაციებისა და მეწარმეობის სტიმულირებაა რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის და კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის [30].

საინოვაციო სისტემის, ცოდნის ეკონომიკისა და მდგრადი ინდუსტრიული განვითარების ძირითად კომპონენტს ახალი ტექნოლოგიები წარმოადგენს. ტექნოლოგიების ტრანსფერი, ანუ ბაზრისთვის ტექნოლოგიების მიწოდება, წარმოადგენს კომუნიკაციის სპეციფიკურ ფორმას, რომელიც ხშირად არის ინტერაქტიული ხასიათის და მოიცავს უკუკავშირის სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც აკავშირებს მიმწოდებლებსა და მიმღებებს. უმეტეს შემთხვევებში, ეს არის საბაზრო პროცესი, როდესაც ტექნოლოგიებს ყიდულობენ და ყიდიან, რაც თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ როდესაც ახალი ტექნოლოგია შემოდის ბაზარზე, ის გულისხმობს შესაბამისი ნოუ-ჰაუს ათვისებას და დანერგვას ეკონომიკურ პრაქტიკაში. ამგვარი ტრანსფერები, როგორც წესი, ხორციელდება ერთი მხრივ, მეცნიერებასა და კვლევის სექტორს შორის და მეორე მხრივ, სამეწარმეო (ბიზნეს) სექტორს შორის. გარდა ამისა, ტექნოლოგიების ტრანსფერი შეიძლება განვიხილოთ სხვადახვა ჭრილში, მათ შორის: საერთაშორისო (იმპორტი/ექსპორტი), რეგიონთაშორისი, ფირმებს შორის და ა.შ.

უკანასკნელ წლებში ბიზნესში ჩადებული კვლევისა და განვითარების დანახარჯები ინოვაციის ყველაზე მნიშვნელოვან ინდიკატორად გვევლინება. ქვეყნები დიდად განსხვავდებიან კერძო სექტორში კვლევისა და განვითარების დანახარჯების მიხედვით, მაგრამ უმეტეს ქვეყნებში, ბიზნეს-სექტორში ჩადებულმა კვლევამ და განვითარებამ სახელმწიფოს მხრიდან სოლიდური მხარდაჭერა

მიიღო მასტიმულირებელი ზომებისა და გადასახადების შემცირების სახით. დროთა განმავლობაში იცვლებოდა სახელმწიფოს ჩარევის ფორმები, რაც გამოიხატა პირდაპირი მონაწილეობიდან არაპირდაპირ მონაწილეობაზე გადასვლაში თავის მხრივ, აქ იგულისხმება კომერციაზე ორიენტირებული კვლევების ხელშეწყობას საჯარო-კერძო სექტორების შეხიდება-მონაწილეობის გზით და ასევე, სუბსიდიებითა და საგადასახადო სტიმულებით უზრუნველყოფით [30].

ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ნოვატორობის უნარსა და წარმოების ისეთ ფაქტორებზე, როგორიც არის ინვესტიცია კვლევასა და განვითარებაში, სამეცნიერო დაწესებულებები, პიროვნული რესურსები და სოციალური კაპიტალი და სხვა.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მოწინავე ეკონომიკის მქონე პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო ხელს უწყობდა ეროვნული კონკურენტულობის ზრდაზე ორიენტირებული რეგიონული საინოვაციო სისტემის განვითარებას და კლასტერების ჩამოყალიბების პოლიტიკას - როგორც მის საშუალებას.

საქართველოში რეგიონული საინოვაციო სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს რეგიონული საინოვაციო სისტემის თანმიმდევრული განვითარების, რეგიონების შედარებითი უპირატესობების ეფექტიანი გამოყენებისა და სისტემური თანამშრომლობის საფუძველზე ქვეყნის რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ტექნოლოგიური პროგრესი ზრდის ქვეყნებს შორის კონკურენციის მასშტაბებსა და სიჩქარეს, რომელშიც წამყვან როლს კონკურენტული ცოდნა და ინოვაციების შექმნის შესაძლებლობა თამაშობს. მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში სულ უფრო ცხადი ხდება, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცოდნის ეკონომიკაზე, ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავება [30].

ასეთი მიდგომა შესაძლებლობას მისცეს ქვეყანას, გამოიყენოს საკუთარი შედარებითი უპირატესობები, განავითაროს პრიორიტეტული დარგები და ხელი შეუწყოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას. ვინაიდან ინოვაციები და ახალი ტექნოლოგიები ამცირებენ ტრანზაქციის ხარჯებს და მატებენ დამატებით ღირებულებას პროდუქტსა და მომსახურებას, ისინი განიხილება, საერთო ეროვნული წარმატების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტებად. წინა პლანზე გამოდის ისეთი შედარებითი უპირატესობები, როგორებიცაა სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალა და საინოვაციო სისტემის განვითარება, საპირწონედ ისეთი (აქამდე წამყვანად მიჩნეული) ფაქტორებისა, როგორებიცაა მდიდარი ბუნებრივი რესურსები.

სახელმწიფო საინოვაციო სტრატეგიამ უნდა განსაზღვროს აღნიშნულ სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკა, პოლიტიკის განმახორციელებელი სახელმწიფო სტრუქტურები და, მათ შორის, კოორდინაციის მექანიზმები, საინოვაციო სისტემის ელემენტები და შესაბამისი ინსტიტუტები. საინოვაციო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები უნდა იყოს:

ა) რეგიონული საინოვაციო სისტემის (რსს), როგორც რეგიონის ეკონომიკური განვითარების ახალი მოდელის დანერგვა;

ბ) იმ ინიციატივების მომზადება, დაკავშირება და წახალისება, რომლებიც ხელს შეუწყობს საინოვაციო პროცესსა და მეწარმეობას და წარმოქმნის კონკურენტუნარიან პროდუქტებსა და მომსახურებას საქართველოს რეგიონებში;

გ) ისეთი ინსტიტუციებისა და მომსახურების ცენტრების ქსელის შექმნა/წახალისება, რომლებიც მხარს დაუჭერენ და დააკავშირებენ საჯარო, კერძო და აკადემიურ სექტორებს ტექნოლოგიური ინოვაციების, ნოვატორული ცოდნის გენერირებისა და მათი კომერციალიზაციის პროცესში;

დ) კვლევა-განვითარების ერთიანი ეროვნული პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება; კვლევებისა და განვითარების ინფრასტრუქტურის დაფინანსების გაზრდა;

ე) სამეწარმეო სუბიექტების, კვლევებისა და განვითარების ინსტიტუციების სივრცითი კონცენტრაციის წახალისება ქვეყნის რეგიონებში (ე.წ. "კლასტერული" განვითარება რეგიონის შედარებით უპირატესობებზე დაყრდნობით);

ვ) ცოდნის შემომტანი ინსტიტუტების (უნივერსიტეტები, ტრე-ნინგცენტრები, ორგანიზაციები და ა.შ.) მხარდაჭერა.

ზ) რეგიონული კვლევა-განვითარების ინფრასტრუქტურის (კვლევითი ინსტიტუტები და სხვ.), ასევე სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომლებიც ამცირებენ სხვაობას მიწოდებასა და მოთხოვნას შორის (ტექნოლოგიების ბროკერები, სარისკო კაპიტალის ფირმები);

თ) საინოვაციო სისტემის ელემენტების თანამშრომლობისა და კოორდინაციის უზრუნველყოფა განსაკუთრებული ქსელური პროცესების საშუალებით [ე. გობეჯიშვილი, 2013].

საჭიროა, ინოვაციების წახალისება სახელმწიფო შესყიდვებითა და საჯარო და კერძო სექტორებს შორის ტექნოლოგიების ტრანსფერის ინსტრუმენტების შექმნით. კერძოდ, უნდა მოხდეს ისეთი ღონისძიებების დაგეგმვა და რეალიზაცია, რომლებიც ხელს შეუწყობს ტექნოლოგიურ ტრანსფერს საჯარო კვლევით ინსტიტუციებსა და კერძო სექტორს, სამეწარმეო სუბიექტებს შორის; უნდა გაიზარდოს კვლევებში ინვესტირებული საჯარო რე-სურსების მოცულობა და მათი პროდუქტიულობა. ასევე უნდა მოხდეს ინოვატორების ცოდნის ნაკადის შეფასება და ბიზნესსექტორისა და საგანმანათლებლო სექტორის თანამშრომლობის სტიმულირება [31].

აუცილებელია სამეცნიერო საქმიანობის და სამეცნიერო ტექნიკური საინფორმაციო სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით აქტიური პოლიტიკის შემუშავება; სამეცნიერო პროდუქტის გავრცელების ხელშეწყობა; ქვეყანაში მიმდინარე კვლევებისა და განვითარების სამუშაოების, შემუშავებული ტექნოლოგიებისა და პერსპექტიული სამეცნიერო კვლევების სრულყოფილი აღრიცხვა და გავრცელება; შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა.

რეგიონული საინოვაციო სისტემის კონსოლიდაციის ქმედითი ინსტრუმენტად რეგიონული საინოვაციო ცენტრების (რსც) ჩამოყალიბება გამოდის , რომლებიც უზრუნველყოფენ:

- კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების ხელშეწყობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, კვლევით ცენტრებსა და მცირე და საშუალო მეწარმეებს შორის შუამავლობას;

- კვლევითი ლაბორატორიების საქმიანობის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვის ხელშეწყობას;

- მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევების, პატენტების, პროტოტიპების, ნოუ-ჰაუს, ლიცენზიების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნას;

- კოოპერაციული კავშირების შექმნის ხელშეწყობას მცირე და საშუალო ბიზნესსა და დიდ სამეწარმეო სუბიექტებს შორის საინოვაციო პროექტების განსახორციელებლად;

- ადგილობრივ მცირე და საშუალო ბიზნესსა და უცხოელ ინვესტორებს შორის კავშირების დამყარების მხარდაჭერას;

- ახალი ტექნოლოგიების კომერციალიზაციის შესაძლებლობათა შესწავლას;

- ერთობლივი კვლევებისა და პროექტების წახალისებას სხვადასხვა სამეწარმეო სუბიექტების ჯგუფების მიერ;

- კონსულტაციებისა და ტრენინგების ორგანიზებას ახალი ტექნოლოგიების სფეროში;

- პირდაპირი რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ინიცირებას ინოვაციებისა და მეწარმეობის სფეროში [ე. გობეჯიშვილი, 2013].

3.3. მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ინფრასტრუქტურის განვითარება

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში, მეწარმეობის მხარდაჭერის ახალმა ორგანიზაციულმა ფორმამ, კერძოდ ბიზნეს-ინკუბატორების

საქმიანობამ მოიკიდა ფეხი. უმრავლესობა ბიზნეს-ინკუბატორებისა დახმარებას უწევს დამწყებ ბიზნესმენებს ფირმის ჩამოყალიბებაში, მის რეგისტრაციაში, ამასთან ისინი შეღავათიან ფასებში ლიზინგით სთავაზობენ ტექნიკურ საშუალებებს, ოფისის ფართობს ტელეფონით, სამრავლებელი ტექნიკით, ფაქსით.

ბიზნეს-ინკუბატორები დიდი მოცულობის მომსახურებას ეწევიან აგრეთვე კონსულტირების და ბიზნესის სტრატეგიის წარმართვის სფეროში, აუდიტის, თანამედროვე საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური ანალიზის დარგებში.

ბიზნეს ინკუბატორები 21–ე საუკუნის მსოფლიო ეკონომიკაში კერძო ბიზნესის ხელშემწყობ უმთავრეს მექანიზმად იქცა.

ბიზნეს ინკუბატორი, არის დამწყები ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა, რომელიც ინოვაციური და კრეატიული იდეის მქონე მეწარმეებს საშუალებას აძლევს სხვადასხავა სახის შეღავათიან პირობებში გაიარონ საკუთარი ბიზნესის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი. ბიზნეს ინკუბატორი საკუთარ კლიენტს სთავაზობდეს ისეთ სერვისებს, როგორებიცაა: იაფი საოფისე ფართი და წვდომა ინტერნეტთან; ბიზნეს ტრენინგები;პროფესიონალური მენტორობა და კონსულტაციები მარკეტინგში, ბუღალტერიაში, ფინანსების მართვაში და სხვა; კავშირი სტრატეგიულ პარტნიორებთან;წვდომა საბანკო სესხებთან, ასევე პირდაპირი ურთიერთობა ინვესტორებთან.

მოწინავე ქვეყნებში ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების საიდუმლო განპირობებულია იმით, რომ მოცემული სტრუქტურის ფარგლებში მცირე ბიზნესის რიგი მთავარი ფუნქციები კოოპერირებულია და შესაძლებელი ხდება მოხერხებულ ფასად ისარგებლონ საერთო ტექნიკითა და მომსახურებით.

საშუალოდ საწარმო 2,5 წელს ატარებს ბიზნეს-ინკუბატორში და შემდეგ ტოვებს მას. მის ადგილს ახალი საწარმო იკავებს. ასე რომ ყოველწლიურად ბიზნეს-ინკუბატორი უშვებს რამდენიმე დამოუკიდებელ ბიზნესისათვის გამართულ ფირმას.

ბიზნეს-ინკუბატორის ძირითად მიზანს წარმოადგენს წარმატებით მოქმედი და განვითარებული მცირე საწარმო-კლიენტები და მომგებიანი

საწარმოები, რომლებიც უკვე მათგან გამოდიან. უნდა აღინიშნოს, რომ ფირმის წარმატების მთავარი პირობა მნიშვნელოვანი კომერციული იდეაა, ბიზნესის სწორი ორგანიზაცია და მცირე საწარმოს ენერგიული და კომპეტენტური ხელმძღვანელობაა. მცირე საწარმოს მიღება ბიზნეს-ინკუბატორში, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით ხდება.

- შესაბამისი დარგობრივი პრიორიტეტები.
- პროდუქციის ან მომსახურების მზადყოფნა.
- სხვა საწარმოებთან შეთავსების კრიტერიუმები.
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა.
- ფინანსური მდგომარეობის კრიტერიუმი.
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კრიტერიუმი.
- პროფესიონალიზმი და გუნდის მოხერხებულობა.

ბიზნეს-ინკუბატორების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება, ეროვნული ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის ხანგრძლივი დროით დასაქმება. ერთ-ერთ ქვემიზანს წარმოადგენს აგრეთვე კონკურენტუნარიანი პროდუქციისა და მომსახურების შექმნა ადგილობრივი ბუნებრივი და შრომითი რესურსების გამოყენებით.

მეწარმეობის ორგანიზაციის ამ ახალი ფორმების ჩამოყალიბება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა თავისებურებით ხასიათდება.

ბიზნეს-ინკუბატორები შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც მცირე საწარმოთა მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმი. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით, ბიზნეს-ინკუბატორები ხელს უწყობს ინდივიდუალური ინიციატივის გამოვლენას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვას. ისინი ამცირებენ სამეწარმეო რისკს და შესაბამისად, მეწარმეობისათვის ხელსაყრელ გარემოს ქმნიან.

ბიზნეს-ინკუბატორები წარმოადგენენ სპეციალურ ტერიტორიას, სადაც თავმოყრილ ახლად შექმნილ საწარმოებს გამოეყოფათ ფართობი. ისინი

სარგებლობენ ინფრასტრუქტურით და აუცილებელი მომსახურებით. ეს მათ საშუალებას აძლევთ, დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარის შეძენამდე დაიწყონ და წარმატებით გააგრძელონ თავიანთი საქმიანობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნისათვის ბიზნეს-ინკუბატორების შექმნის მიმართულებით პოლიტიკა უნდა შემუშავდეს საერთაშორისო პრაქტიკის, უპირველესად გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

პირველ რიგში უნდა განისაზღვროს ბიზნეს-ინკუბატორების სტატუსი, მართვის სტრუქტურა და ფუნქციები.

ბიზნეს-ინკუბატორების დამოუკიდებლობისა და მდგრადობის მისაღწევად საწყისი საფინანსო რესურსების წყაროდ სახელმწიფო სახსრები ან საერთაშორისო საფინანსო პროექტები მოიაზრება. აქ იკვეთება მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის როლი და ფუნქციები ბიზნეს-ინკუბატორების დაფუძნებისა და მათი სასტარტო კაპიტალით უზრუნველყოფის საქმეში.

ბიზნეს-ინკუბატორების საქმიანობა საქართველოში მნიშვნელოვანია წარიმართოს იმ საწარმოთა მხარდასაჭერად, რომლებიც ფუნქციონირებენ წარმოების სფეროში, გადამამუშავებელ მრეწველობაში და მომსახურების სფეროში ადგილობრივი მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანი საკითხია ბიზნეს-ინკუბატორის ადგილმდებარეობის შერჩევა, რომელიც გაითვალისწინებს სათანადო ინფრასტრუქტურის არსებობას, თანამედროვე კონკურენტუნარიანი საკომუნიკაციო მოწყობილობების დაგეგმვისა და გამოყენების შესაძლებლობებს.

ბიზნეს-ინკუბატორის ფუნქციონირების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება იმით, თუ რამდენად სწორად არის იგი შესაბამისობაში რეგიონულ პოლიტიკასთან. ყველა შემთხვევაში, არა აქვს მნიშველობა როგორი საინვესტიციო პოტენციალის მქონე რეგიონია, იგი უნდა

აკმაყოფილებდეს მოთხოვნას სათანადო ინფრასტრუქტურაზე, იძლეოდეს სამეწარმეო სტრუქტურებთან თანამშრომლობის და ბაზარზე გასვლის შესაძლებლობებს.

გასათვალისწინებელია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობა ბიზნეს-ინკუბატორების დაფუძნების და დაფინანსების საქმეში. ადგილობრივმა ორგანოებმა ბიზნეს-ინკუბატორებს უნდა აღმოუჩინონ შეძლებისდაგვარი მატერიალური დახმარება და იკისრონ გარკვეული ვალდებულებები მათი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ბიზნეს-ინკუბატორების წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია სათანადო მმართველობითი პერსონალის შერჩევა, მენეჯმენტის ეფექტიანი პროცედურების შემუშავება, მიზანდასახულობათა განსაზღვრა და შედეგების სწორად შეფასება.

მცირე და საშუალო ბისნესის მხარდაჭერის საქმეში განსაკუთრებული როლი აკისრიათ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კადრების მომზადებას, სასწავლო-მეთოდური მასალების მომზადებისა და გამოცემის სუბსიდირებას, მომსახურების შედეგიანობის გაზომვას და ა.შ. მათგან აღსანიშნავია:

- ევროპის კომიტეტი მეწარმეობის მხარდაჭერასთან დაკავშირებული მომსახურების ხაზით, რომელიც შეიქმნა 1969 წელს და წარმოადგენს მსს ბიზნეს-მხარდამჭერი ორგანიზაციების ასოციაციას.
- მეწარმეობისა და ინოვაციათა ცენტრების ევროპული ქსელი, რომელიც ჩამოყალიბდა 1984 წელს მოცემულ სფეროში საქმიანობის კოორდინაციის მიზნით. ამჟამად მის შემადგენლობაში შედის 200-ზე მეტი ორგანიზაცია, მათ შორის მეწარმეობისა და ინოვაციების 160 ცენტრი ევროპის 21 ქვეყანაში და ასოცირებული ორგანიზაციები, როგორც ევროპისა და აზიის, აგრეთვე ამერიკის კონტინენტიდან. ასოციაციის ძირითადი ამოცანებია: წევრი ორგანიზაციების და მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მომსახურებაზე, "ნოუ-ჰაუსა" და ღირებულ ინფორმაციაზე, ტექნიკური გამოცდილებისა და მეთოდური მასალების ურთიერთგაცვლის ორგანიზაცია და ა.შ.

- ევროპული საინფორმაციო ცენტრების ქსელი, რომელიც წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლებს ევროკომისიასა და საწარმოებს შორის. ისინი თავიანთ საქმიანობაში იყენებენ მიმღები ქვეყნის დაწესებულებებს, როგორიცაა: სავაჭრო პალატები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ბანკები და სხვა სტრუქტურები.

- რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის საწარმოთა სანაციისა და საკონსულტაციო მომსახურების პროგრამები. ამ პროგრამების მიზანია საწარმოთა მხარდაჭერის რეორგანიზაციის (რესტრუქტურიზაციის) საქმე, რათა გახდნენ კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. საწარმოების ტექნიკური დონის შეფასების საფუძველთა სპეციალიზირებული დარგობრივი მრჩეველების მიერ, საწარმოებს გაეწევათ დახმარება შიდა და გარე ბაზრების მოთხოვნებისა და შესაძლებლობების შეფასების კუთხით, მათ მიეცემათ სათანადო რჩევები მმართველობით, მარკენტიგულ და საწარმოო საქმიანობაში, პროდუქციის დიზაინსა და ხარისხში და ა.შ.

- **გაეროს განვითარების პროგრამა** - გაეროს განვითარების პროგრამის მიხედვით მომზადებულია მცირე საწარმოთა განვითარების საცნობარო სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს მითითებებს მომსახურების ძირითადი სახეობების, ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიის შესახებ. სახელმძღვანელოში დახასიათებულია მცირე საწარმოთა განვითარების ხელსაყრელი პირობები და განსაზღვრულია "ოპტიმალური პრაქტიკა" მომსახურების ცალკეული ჯგუფების მიხედვით, გადმოცემულია დონორების ძირითადი შეფასებები და დასკვნები.

დასკვნა

ბიზნესი ეს არის საქმიანი ორგანიზაცია, რომლიც აწარმოებს პროდუქტს საქონლის ან მომსახურეობის სახით და მისი მთავარი მიზანი მაქსიმალური მოგების მიღებაა. მცირე ბიზნესის ორგანიზაციული ფორმები ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია და გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება.

აშშ-ში ორი ტიპის მცირე საწარმოს განასხვავებენ: მცირე საწარმოებს, რომელთაც გაფართოების შესაძლებლობა არ აქვთ და მცირე საწარმოებს, რომლებიც საწყის ეტაპზე იქმნება მცირე კაპიტალის დაბანდებით, შემდგომ მისი გაფართოების მიზნით („სწრაფად განვითარებადი" საწარმოები).

უცხო ქვეყნების ეკონომიკაში ვხვდებით სამი ფორმის მცირე საწარმოებს:

1. სტატუსკვო („სიცოცხლისუზრუნველმყოფ") მცირე საწარმოებს, საწარმოები რომლებიც არ ცდილობენ გაფართოებას;

2. ნელა განვითარებადი საწარმოები, ცდილობენ გაფართოებას გადავიდნენ ბიზნესის სხვა ფორმაში, მაგრამ არა სწრაფი ტემპით;

3. სწრაფ განვითარებადი მცირე საწარმოები, საწარმოები რომლებიც ნერგავენ ინოვაციებს ისინი სწრაფი ტემპით გადადიან ბიზნესის სხვა ფორმაში (საშუალო, მსხვილ, გლობალურ ბიზნესის ფორმაში). მცირე ბისნესის ბოლო ორი ფორმა (ნელა და სწრაფ განვითარებადი) პოტენციური საშუალო ბიზნესია.

ბიზნესი შეიძლება ჩავთვალოთ ისეთ მოვლენად, რომელიც ცალსახად დამახასიათებელია მხოლოდ საბაზრო ეკონომიკისათვის. სწორედ თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე საკმაოდ განსხვავებულია მეცნიერთა და მკვლევართა აზრი ბიზნესთან მიმართებაში.

მცირე საწარმოთა ფუნქციონირების ანალიზმმა სასუალება მოგვცა წარმოვაჩინოთ მისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ძლიერი მხარეებია: კონკურენციის გამწვავება, სიახლეთა სწრაფი დანერგვა, დასაქმების ხელშეწყობა, ბაზრისა-თვის საქონლის (მომსახურების) განსაკუთრებული სახეობების შეთავაზება, საგადასახადო შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა, მონოპოლიზმის განეიტრალება, ელასტიურობა და მოქნილობა საქმიანობაში, პროფილის შეცვლის სიიოლე, წამოწყების სიიოლე, მოქნილი მენეჯმენტი, ტრადიციულ გემოვნებასთან და სტანდარტებთან იოლად შეგუება.

სუსტი მხარეებიდან აღსანიშნავია: დაბალი კონკურენტუნარიანობა, საკრედიტო რესურსებისადმი ნაკლები ხელმისაწვდომობა, საქმიანობის წარმართვის გამოუცდელობა, კაპიტალდაბანდების დაკარგვის მაღალი რისკი, ბიზნეს-პარტნიორებისაგან ნდობის შედარებით ნაკლები ხარისხი.

ბოლო წლებში არაერთი ქართველი მეცნიერისა და მკვლევარის ნაშრომი გამოიცა ქვეყანაში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებასთან დაკავშირებით, რომლებიც გვთავაზობენ სხვადასხვა ღონისძიებებს მათი ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად. აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების დონე მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელს. მიზერულია სახელმწიფო დახმარებაც მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე კარგი იქნებოდა ყურადღება გაგვემახვილებინა საზღვარგარეთის ქვეყნების მცირე და საშუალო საწარმოების მდგომარეობაზე და მოგვეხდინა მათი ანალიზი. მცირე და

საშუალო საწარმოების ფუნქციონირებისა და მხარდაჭერის საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლა და ანალიზი სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებს დაეხმარება მეწარმეობის მხარდაჭერის ეფექტიანი პროგრამების შემუშავებაში.

განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება მაღალი ტემპით მიმდინარეობს, რადგან ეროვნული მთავრობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ასეთ საწარმოებს და მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ: ადგენენ და ახორციელებენ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამებს და უწესებენ მათ მნიშვნელოვან შეღავათებს. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი საშუალო კლასის ფორმირების საფუძველია, რომელიც ეკონომიკის სტაბილური განვითარების ბაზას წარმოადგენს და მოსახლეობის დიდ ნაწილს ასაქმებს. განვითარებულ ქვეყნებში მშპ-ს 50-70%-ს მცირე და საშუალო კომპანიები აწარმოებენ.

მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოცემული ქვეყნის დარგობრივი სპეციფიკა და ეკონომიკური მექანიზმები. ეროვნული განსაკუთრებულობები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართულობის შესაძლებლობაში რეალური სექტორის საწარმოო პროცესებში.

სახელმწიფო ხელშეწყობა ითვალისწინებს მცირე ბიზნესისათვის დახმარების პროგრამებს, რომლებიც შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

- ახალი და მომქმედი ფირმების კონსულტაციის პროგრამები;
- ფინანსური დახმარების განხორციელების პროგრამები;
- მცირე ფირმების საექსპერტო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამები;
- შოტლანდიაში, უელსში, ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედებს მცირე ფირმების დახმარების რეგიონული პროგრამები.

ყურადსაღებია აგრეთვე მცირე და საშუალო ბიზნესის ირიბი დახმარება: მოქმედებს საგადასახადო შეღავათები, რომლებიც ათავისუფლებენ ამ კატეგორიის საწარმოებს საშემოსავლო გადასახადისაგან გარკვეულ ფარგლებში და მოქმედებს ამორტიზაციის განსაკუთრებული ნორმები წარმოებაში ინვესტიციების სტიმულირებისათვის).

ევროკავშირის პოლიტიკა მსს-თა მიმართ იყენებს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მიდგომას.

ვერტიკალური მიდგომა გამოიხატება იმ ღონისძიებებში, რომლებიც ორიენტირებულია უშუალოდ მცირე და საშუალო საწარმოებზე (მეწარმეობასთან, კომერციასთან, ტურიზმთან, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროსთან დაკავშირებული პოლიტიკა).

ჰორიზონტალური მიდგომა გულისხმობს მცირე და საშუალო საწარმოების ინტერესების დაცვას ევროკავშირის საქმიანობის სხვა სფეროებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო მხარს უჭერს ზრდის პოტენციალის მქონე საწარმოებს რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ მოსახლეობის დამატებითი დასაქმება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგების წარმოებაში დანერგვა და ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა. მცირე ბიზნესის მოწყობისა და ფუნქციონირების პრინციპები, მხარდაჭერის ფორმები და მეთოდები ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით განსხვავებულია.

მცირე საწარმოებისათვის ფინანური რესურსების ნაკლებად ხელმისაწვდომობის ძირითადი მიზეზებია:

- კრედიტის აუცილებელი უზრუნველყოფის უქონლობა;
- სასესხო პროცენტის მაღალი განაკვეთები;
- გრძელვადიანი კრედიტების დაბალი ხვედრითი წილი;
- გარანტიებისა და გირაოს უქონლობა;
- სპეციალისტების დეფიციტი;
- მცირე საწარმოების ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის დაბალი

დონე;

- ბიზნეს-გეგმების დაბალი ხარისხი;
- აუცილებელი საბაზრო პირობების არარსებობა;
- პროექტების დაბალი ეფექტიანობა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების დროს რისკის, და რაც დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია-საგარანტიო მოთხოვნის

შემცირება შეუძლებელია საკრედიტო-საინფორმაციო მომსახურების დონის ამაღლების გარეშე. რისთვისაც საჭიროა წავახალისოთ საწარმოთა კრედიტუნარიანობის შემსწავლელი და სხვა საკრედიტო ინფორმაციის მომწოდებელი სააგენტოების შექმნა და განვითარება.

რაც შეეხება საქართველოს უკანასკნელ წლებში გატარებულმა რეფორმებმა სათანადო ასახვა ჰპოვეს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებულ პოზიტიურ შეფასებებში, რომლებიც ძირითადად დაეფუძნა ახალი კანონებისა და საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზს. ამავე დროს მკვეთრად გაუარესდა საკანონმდებლო და რეგულაციური გარემო მცირე და საშუალო ბიზნესთან მიმართებაში.

ხელისუფლების მიერ დეკლარირებულ იქნა ლიბერალური ეკონომიკური კურსი, რომლის თანახმად ეკონომიკის ყველა სექტორი იმართება მხოლოდ თავისუფალი საბაზრო კანონებით, სახელმწიფო არ გამოყოფს პრიორიტეტულ სექტორს და აწესებს ყველა საწარმოსათვის დაბეგვრის ერთნაირ რეჟიმს. გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის კურსისა და თანაბარი საგადასახადო რეჟიმის პირობებში მცირე მეწარმეობამ ვერ გაუწია კონკურენცია მსხვილ ბიზნესს და მისი წილი ღირებულებათა შექმნილ მთლიან ჯაჭვში თანდათანობით შემცირდა. ამის შედეგად გაიზარდა რეგისტრირებულ ახალ საწარმოთა რაოდენობა, თუმცა აღნიშნულს გამოშვებული პროდუქციის მაჩვენებელში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გამოუწვევია.

დღეს საქართველო აქტიურად მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის მცირე და საშუალო ბიზნესის პანელში და თანამშრომლობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD), ევროპული განათლების ფონდთან (ETF), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის საუკეთესო საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის მიხედვით გაუმჯობესების მიზნით.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება რიგი მცირე და საშუალო მეწარმეობაზე ორიენტირებული პროექტები. მეწარმეობის ზრდის პროგრამის (EGP) და ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურების (BAS) პროგრამების (ევროკავშირის მხარდაჭერით) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება EBRD-ის მიერ, 800-ზე მეტ მცირე და საშუალო მეწარმეს გაეწია მხარდაჭერა. საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის East-Invest პროექტში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა.

ამჟამად საქართველოში ადგილი აქვს ინოვაციურ კრიზისს, რომელიც დაიწყო ჯერ-კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. კრიზისი გამოვლინდა შექმნილი და წარმოებაში დანერგილი ახალი ტექნიკის რაოდენობის შემცირებაში, რამაც სტიმული მისცა რიგი ნეგატიური ტენდენციების ჩამოყალიბებას. მკვეთრად დაეცა სამრეწველო პროდუქციის, განსაკუთრებით მზა ნაწარმის კონკურენტუნარიანობა. ღია ეკონომიკის პირობებში სამრეწველო პროდუქციამ იწყო კლება არამარტო საგარეო, არამედ შიდა ბაზარზეც.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში შეინიშნება გარკვეული წანამძღვრები ინოვაციური მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის. ინოვაციებისადმი მხარდამჭერი პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა კონკურენტულ ბრძოლაში. აქედან გამომდინარე ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების მიმართულებით პირველი მცდელობები ჩნდება, რათა დაფუძნდეს ტექნოლოგიური ინკუბატორები, ინოვაციური ცენტრები, ვენჩურული ფონდები, ჩამოყალიბდეს ინოვაციური ინფრასტრუქტურა.

ინოვაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ინოვაციების მეშვეობით ხორციელდება შრომითი საქმიანობის ინტელექტუალიზაცია, მისი მეცნიერებატევადობის ამაღლება; აგრეთვე ფართოვდება წარმოებული საქონლისა და მომსახურების არეალი, უმჯობესდება მათი ხარისხი, რაც ხელს უწყობს ინდივიდთა და საზოგადოების მოთხოვნილებების ზრდას და მათ დაკმაყოფილებას;

ინოვაციები საშუალებას იძლევა წარმოებაში მოზიდულ იქნას ახალი მწარმოებლური ძალები, წარმოებულ იქნას საქონელი და მომსახურება შრომის, მასალების, ენერგიის ნაკლები დანახარჯებით (შრომის ეკონომიის კანონი);

ინოვაციათა კონცენტრაცია ამა თუ იმ სფეროში ხელს უწყობს კვლავწარმოების სტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანას შეცვლილი მოთხოვნილებების სტრუქტურასთან და გარემოს სტრუქტურასთან (პროპორციული განვითარების კანონი);

ინოვაციები აგრეთვე ასტიმულირებენ სამეწარმეო საქმიანობას, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის სფეროში, ახალი საქონლისა და ტექნოლოგიების ძიებისა და ათვისებისაკენ, რათა გაიმარჯვონ კონკურენტულ ბრძოლაში, და დაიკავონ ახალი საბაზრო სეგმენტები.

რეფორმის განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი რესურსი - სამეწარმეო პოტენციალი, ჩავრთოთ ქვეყნის ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ აღორძინებაში. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მეწარმეობის განვითარება ინოვაციურ სფეროში, რამდენადაც ამ სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ბაზაზე ხორციელდება სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქტის გარდაქმნა მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე საქონლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადეიშვილი გ., ასათიანი რ. ეკონომიკური თეორია. თბ., 1998.

2. გობეჯაშვილი ე. საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის მიმართულებები. თბილისი, 2013.
3. გოგიაშვილი ო. მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში. დისერტაცია. ქუთაისი, 2013.
4. გოგიჩაიშვილი ფ. ხელოსნობა საქართველოში. თბ., ტსუ გამომცემლობა, 1976.
5. ვაშაკიძე თ. ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირში". თბ., 2009.
6. თეთრუაშვილი მ., თეთრუაშვილი ზ., თეთრუაშვილი ი. საკუთარი ბიზნესი: პირველი ნაბიჯები. გორი, 2008.
7. თოქმაზიშვილი m. მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშეწყობა (ღირებულებათა ზრდის განვითარება). თბ.; 2011
8. ივანიაშვილი-ორბელიანი გ., კიკაბიძე კ., ლოსაბერიძე დ. საქართველოს ეროვნული საინოვაციო სისტემის კონცეფცია, თბილისი, 2008;
9. კობერიძე ბ. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ინსტიტუციური მიმართულებები საქართველოში და ევროკავშირთან ინტერნაციონალიზაციის წინააღმდეგობები. თბილისი, 2015.
10. მესხია ი., ბიზნესის საფუძვლები. თსუ, 2011.
11. **მესხია ი., ბასარია რ.** საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები. თბ., 2001.
12. მესხია ი., ხმალაძე კ. მცირე და საშუალო მეწარმეობის მაკროეკონომიკური პრობლემები, ჟურნალი "გადასახადები" #23-24, 2007;
13. მექვაბიშვილი ე., „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება, როგორც საშუალო კლასის ფორმირების უმნიშვნელოვანესი პირობა". http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/07/blog-post.html (2.07.2010)
14. მცირე ბიზნესის დაკრედიტების საკონსულტაციო ვებგვერდი - www.kreditbusiness.ru/foreignbusiness.html
15. საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგია 2010-2017 წლებში;

16. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
17. სმიტი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ (ფ. გოგიჩაიშვილის თარგმანი). თსუ, 1938.
18. ქეშელაშვილი ო., ბიზნესის ძირითადი პრობლემები, მოტივაციები და განვითარების ტენდენციები საქართველოში. საქ. ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბ., 1997.
19. ყამარაული ს., უნივერსლური ბიზნეს-ლექსიკონი, თბ. 2002.
20. ხიზრიჩი რ., პიტერსი მ. მეწარმეობა, ანუ როგორ დავიწყოთ საკუთარი საქმე და მივაღწიოთ წარმატებებს. „საქართველო“, ქუთაისი, 1994.
21. Агеев А. Предпринимательство: проблемы собственности. Учебник. М.: Экономист. 2004.
22. Бейтон А., Казорла А., Долло К., Дре А., 25 ключевых книг по экономике. Челябинск: Урал LTD, 1999.
23. Два кита испанской экономики. Опыт развития малого и среднего бизнеса / Под редакцией В.Л. Верникова. – М.: Весь мир, 2010.
24. **Мазоль С.** Экономика малого бизнеса. Минск., «Книжный Дом», 2004.
25. Национальный институт системных исследовании проблем предпринимательства - www.nisse.ru
26. **Речмен Д., Мескон М., Боуви К., Тилл Д.** Современный бизнес в 2 т., М., «Республика», 1995.
27. Современный экономический словарь. М., «Инфра-М», 1996
28. Хоскинг А., Курс предпринимательства. М., «Международные отношения», 1993.
29. Dictionary of Economic and Management. „Tacis“, 1996.
30. Efficient forms of state financial support for small and megium innovative-technological enterprises. NATO Science Programme: ,,the role of government in supporting S&M innovative technology enterprises”. Abstracts of the reports. ICSTI, Moscow, 2001

31. Institut für Mittelstandsforschung Bonn - www.ifm-bonn.org

32. Madura J., Introduction To Business. Fourth Edition, 2007.

33. მცირე ბიზნესის დაკრედიტების საკონსულტაციო ვებგვერდი - www.kreditbusiness.ru/foreignbusiness.html

34. www.medozhvania.wordpress.com

35. www.wordpress.com - Innovations' Center More about modern business..innovations center.; გადამოწმებულია: 01.05.2013-ში;

36. http://topnews.mediamall.ge